სიძულვილის ენა

საერთაშორისო მექანიზმები და სიძულვილის ენასთან გამკლავების სტრატეგიები

(დამხმარე სახელმძღვანელო)

DRC, 2025

European Union

FLIP
A Joint EU-UNDP Initiative

UNDP

დოკუმენტი მომზადდა „COBERM-ის შემდგომი განვითარება: EU-UNDP ერთობლივი ინიციატივა მდგრადი და ინკლუზიური მშვიდობისთვის (FLIP)“-ის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირისა (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას.

გამოცემის შინაარსზე ერთპიროვნული პასუხისმგებლობა „დემოკრატიის კვლევის ცენტრს“ აკისრია და არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას აღქმული, როგორც EU-ს ან UNDP-ს მოსაზრება.

DRC დემოკრატიის კვლევის ცენტრი
Democracy Research Center

ავტორების შესახებ:

გვიად მჭედლიშვილი: ჟურნალისტი, 2009 წლიდან მუშაობს სხვადასხვა მედიაში, ქართულ და უცხოურ ონლაინ-გამოცემებში, ტელევიზიაში, მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლის პირველ არხზე. ამჟამად არის რადიო თავისუფლების და ტელეარხ Currenttime.tv-ს კორესპონდენტი.

ანი ასლანიშვილი: ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი, სოციალური მუშაობის მაგისტრი. ანის აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება სოციალური მუშაობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. იგი სერტიფიცირებული ტრენერია, ასევე მონაწილეობას იღებდა სატრენინგო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. ანის აქვს მუშაობის გამოცდილება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ახალგაზრდებთან. ასევე, პროფესიული ზედამხედველობისა და სუპერვიზიის, მომსახურებების სტრუქტურირებასა და სტანდარტიზაციის განხორციელების გამოცდილება.

თამარ ჭანტურია: თამარს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს ევრაზიის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით - კერძო, საჯარო და საერთაშორისო სექტორში. მისი საქმიანობა ფოკუსირებულია ადამიანის უფლებების კვლევასა და მონიტორინგზე, არასაპატიმრო სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების, რეგიონში კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაში. თამარი არის რამდენიმე კვლევის და სახელმძღვანელო დოკუმენტის თანაავტორი და ადამიანის უფლებათა პროექტების თანამონაწილე.

შესავალი

სიძულვილის ენა შეიძლება აღვწეროთ, როგორც ვერბალურად, წერით ან ქცევით გამოხატული კომუნიკაცია, რომლითაც ხდება თავდასხმა ან დისკრიმინაცია ინდივიდის ან ჯგუფის მიმართ მისი იდენტობის ისეთი მახასიათებლის გამო, როგორიცაა რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, რასა, კანის ფერი, წარმომავლობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი, გენდერი ან სექსუალური ორიენტაცია, ენა, ეკონომიკური ან სოციალური წარმომავლობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობა.[1]

სიძულვილის ენა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის საფრთხის შემცველია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, აღნიშნული პრობლემის გლობალურად გადასაწყვეტად და ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგიასა და მოქმედების გეგმაში „სიძულვილის ენა“ განსაზღვრა როგორც: „...ნებისმიერი სახის კომუნიკაცია გამოხატული ზეპირი, წერილობითი ან ქცევითი ფორმით, რომელიც მტრულ ხასიათს ატარებს ან შეიცავს დამამცირებელ ან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ სხვადასხვა მახასიათებლის გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რასის, კანის ფერის, სოციალური წარმომავლობის, სქესის ან სხვა იდენტობის ნიშნების გამო“. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში არ არსებობს სიძულვილის ენის ერთიანი დეფინიცია. აღნიშნული ცნება კვლავ ფართო დისკუსიის საგანია, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების, დისკრიმინაციისგან დაცვისა და თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.[2]

---

[1] UNUCEF, „როგორ (და რატომ) ვესაუბროთ ბავშვებს სიძულვილის ენის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/je6Th

[2] UN, „Understanding hate speech,“ ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.un.org/en/hate-speech/understanding-hate-speech/what-is-hate-speech

ბოლო წლებში სიძულვილის ენა საოცარი სისწრაფით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენების პარალელურად. სიძულვილის ენას ვხვდებით, როგორც სოციალურ ქსელში, ისე რეალურ ცხოვრებაში. სიძულვილის ენა ადამიანებს ან სხვადასხვა ჯგუფებს აღიქვამს არა როგორც სრულფასოვან პიროვნებებს, არამედ მათ იდენტობაზე დაყრდნობით აჩენს მათდამი მტრულ დამოკიდებულებას, რითაც ხშირად სარგებლობენ პოლიტიკურად მოტივირებული სუბიექტები.[3]

სიძულვილის ენასთან ბრძოლა და მისი ძირეული მიზეზების აღმოფხვრა შესაძლებელია განათლების, მედიისა და ინფორმაციული განათლების გაძლიერებით, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშემწყობი რეგულაციებითა და სხვა გზებით.[4]

ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სამართლებრივ საკითხებზე, საერთაშორისო მექანიზმებზე, მსოფლიოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებზე. გზამკვლევის გამოყენება შესაძლოა სასარგებლო იყოს, როგორც მკვლევრებისთვის და მედიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების სფეროს პრაქტიკოსებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ჟურნალისტებისა და იურისტებისთვის.

[3] UNESCO, „Countering hate speech," ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.unesco.org/en/countering-hate-speech
[4] იქვე.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I სიძულვილის ენა – სამართლებრივი მექანიზმები 7

1.1 სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმოხილვა საერთაშორისო სტანდარტების პრიზმაში 7

1.2. სამართლებრივი ბაზა სიძულვილის ენის შესახებ 11

1.3 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები 24

თავი II სიძულვილის ენა მედიაში - გამოვლენა და პრევენცია 31

2.1. სიძულვილის ენა მედიაში. ნიშნები და ფორმები. 31

სიძულვილის ენის განსაზღვრა მედიაში 31

2.2. სიძულვილის ენის პრევენცია მედიაში. სიძულვილის ენის გამოვლენა მედიამასალებში და მისი გამოყენების შემცირება ... 42

თავი III სიძულვილის ენა, ფსიქოსოციალური ფაქტორები და პრაქტიკული გამოცდილება 46

3.1. ფსიქოსოციალური ფაქტორები 46

3.2. ფსიქოლოგიური თეორიები და სიძულვილის ენა 50

3.3. სიძულვილის ენის პრევენცია და მასზე რეაგირება. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა 53

3.4. საუკეთესო პრაქტიკა და წარმატებული ინტერვენციის მაგალითები 55

3.5. სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების როლი სიძულვილის ენის პრევენციასა და დაზარალებულთა დახმარებაში 60

თავი I
სიძულვილის ენა – სამართლებრივი მექანიზმები

1.1 სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმოხილვა საერთაშორისო სტანდარტების პრიზმაში

სიძულვილის ენა

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში სიძულვილის ენას ზუსტად განსაზღვრული დეფინიცია არა აქვს, საერთაშორისო სტანდარტები სიძულვილის ენას აღწერენ, როგორც უარყოფითი კომუნიკაციის ფართო სპექტრს, რომელსაც შეუძლია არასასურველი, ზოგიერთ შემთხვევაში კი სახიფათო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი თანაცხოვრების ბალანსზე, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის განსაზღვრებით, სიძულვილის ენა ეს არის: *ყველა სახის გამოხატულება, რომელიც აღვივებს, ახალისებს, ავრცელებს ან ამართლებს ძალადობას, სიძულვილს ან დისკრიმინაციას კონკრეტული პირის ან ჯგუფის მიმართ, ან ამცირებს პიროვნული მახასიათებლების ან სტატუსის გამო, როგორიცაა რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნული კუთვნილება, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, სქესი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია.*

<u>გაეროს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის</u> მიხედვით, სიძულვილის ენა განიმარტება როგორც: *ნებისმიერი სახის კომუნიკაცია გამოხატული ზეპირი, წერილობითი ან ქცევითი ფორმით, რომელიც მტრულ ხასიათს ატარებს ან შეიცავს დამამცირებელ ან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ სხვადასხვა მახასიათებლის გამო, რაც ხშირად ფესვგადგმულია.*

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის გამოხატვისა და გავრცელების სხვადასხვა ფორმა არსებობს, მასთან გამკლავების პროცესში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც, როგორც სიძულვილის ენის შეწინააღმდეგების ინსტრუმენტი, ასევე ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა - არ უნდა დაზარალდეს.

ციფრული ტრანსფორმაციისა და ონლაინ-კომუნიკაციის სხვადასხვა პლატფორმის მომრავლების პირობებში, ონლაინ-კონტენტის რეგულირებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა, ინტერნეტ სივრცესა და სოციალურ მედიაში ონლაინ სიძულვილის ენის გავრცელების შესაჩერებლად დამატებითი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების საჭიროება წარმოშვა. ინტერნეტ სივრცესთან დაკავშირებული ეს სირთულეები, სხვა საკითხებთან ერთად, გამოწვეულია მისი ტრანსნაციონალური ბუნებით, ანონიმურობით, მუდმივობით და მობილურობით.[5]

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები და მათი წევრი სახელმწიფოები ქმნიან ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებს სიტყვის თავისუფლების დასაცავად და სიძულვილის ენისგან კაცობრიობის დაცვის ოპტიმალური მიდგომების განსასაზღვრად.

[5] UNESCO, „Countering online hate speech“, 2015, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000233231/PDF/233231eng.pdf.multi

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სიძულვილის ენა განსხვავდება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და დისკრიმინაციული ქცევისგან. სიძულვილის ენა ყოველთვის არ წარმოადგენს დანაშაულს, მაშინ როცა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული ყოველთვის სისხლის სამართლის დანაშაულია. სისხლის სამართლის იურისდიქცია ემყარება დანაშაულის ნიშნებს და არა მხოლოდ „სიძულვილს".

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ექსპერტების აზრით, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები განისაზღვრება, როგორც დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გამო, სადაც „მიკერძოება" უფრო ფართო მნიშვნელობით განიმარტება, ვიდრე უბრალოდ სიძულვილი. მიკერძოების მოტივი გულისხმობს გარკვეულ წინასწარ განწყობას ინდივიდუალური თვისებების/მახასიათებლების საფუძველზე.[6]

სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების უმეტესობა ყოველთვის არ უკავშირდება „გამოხატვის თავისუფლებას". მსხვერპლი სრულად ან ნაწილობრივ შეირჩევა დამნაშავის მიერ „მიკერძოების მოტივით".[7]

დანაშაული, რომელიც ჩადენილია ე.წ. „მიკერძოების მოტივით" (მაგალითად, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობა) და სისხლის სამართლის დანაშაული (მაგალითად, მკვლელობა) წარმოადგენს ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტის „საბაზისო" ელემენტებს. დამნაშავე მსხვერპლს ირჩევს „დაცული" მახასიათებლის საფუძველზე.[8]

---

[6] OSCE, „Hate Crime Laws: A Practical Guide", Revised Edition, 2022, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.osce.org/odihr/523940

[7] ARTICLE 19, „Hate Speech" Explained A Toolkit, (London, 2015), გვ. 22-23, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.article19.org/resources/hate-speech-explained-a-toolkit/

[8] იქვე.

სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს ასევე უწოდებენ „სიმბოლურ“ ან ე.წ. „დანაშაულ-გზავნილებს“, რადგან ისინი არამხოლოდ განსხვავებული მოტივით ხასიათდებიან, არამედ გავლენას ახდენენ, როგორც მსხვერპლზე, ასევე, საზოგადოებაზე. სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები „აგზავნის“ საზოგადოებაში მოსაზრებას, რომ მსხვერპლი არ ეკუთვნის მათ. ამ ტიპის დანაშაულები ასევე უბიძგებენ პოტენციურ დამნაშავეებს, რომ თავიანთი მტრული განწყობა ძალადობრივ ქმედებებში გადმოიტანონ.[9]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის ნორმების მიღება, რათა სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ პირებს, რომლებიც დანაშაულს ჩადიან დაცული მახასიათებლების მქონე პირთა ან ჯგუფების მიმართ.

ევროპის კომისიის მიერ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო პოლიტიკური რეკომენდაცია №15 ასევე მოუწოდებს ხელისუფლებებს, უზრუნველყონ, რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ განაცხადონ მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, შურისძიების შიშის გარეშე.[10] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს სჩადიან ან უგულებელყოფენ სამართალდამცავი ორგანოები, ან როცა არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს მიზნად.

---

[9] OSCE, „Hate Crime Laws: A Practical Guide. Revised Edition, 2022, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.osce.org/odihr/523940

[10] ECRI, „Ecri General Policy Recommendation NO.15 on Combating Hate Speech“, 2015. ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-15-on-combating-hate-speech/16808b5b01

1.2. სამართლებრივი ბაზა სიძულვილის ენის შესახებ

სიძულვილის ენის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა

ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ადგენდა ნორმებს სიძულვილის ენის აღკვეთისა და სიტყვის თავისუფლების დაცვის კუთხით, არის ***საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)*** და ***საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD).*** ორივე შეთანხმება ხელშემკვრელი მხარეებისთვის იურიდიულად სავალდებულოა.

საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის (აზრისა და გამოხატვის თავისუფლება) ***ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი შენიშვნა №34*** ახდენს აღნიშნული მუხლის ინტერპრეტაციას და განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაქტი იცავს აზრის გამოხატვის ყველა ფორმას და გავრცელების საშუალებებს, თავისუფლების განხორციელება მოითხოვს გარკვეულ ვალდებულებებს.

სახელმწიფოს მიერ პაქტით დაცული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა (ა) იყოს კანონით გათვალისწინებული; (ბ) ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, მაგალითად, სხვა ადამიანთა უფლებების დაცვას, მათ შორის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებას – ან საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას; და (გ) იყოს შესაბამისი და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური სიძულვილის პროპაგანდა, რომელიც შეიძლება იწვევდეს მტრობას, ძალადობას ან დისკრიმინაციას, აკრძალულია **პაქტის 20 (2) მუხლით**. ასევე, პაქტის მე-20 მუხლის (ომის პროპაგანდისა და ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის გაღვივების აკრძალვა) **ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი შენიშვნა №11** განმარტავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი კანონები აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ქმედებების აკრძალვის მიზნით, სამო-

ქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის სულისკვეთების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს სიძულვილის ენასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის უზრუნველყონ დაბალანსებული ზომების (იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური და საგანმანათლებლო) მიღება. კერძოდ, მათ უნდა გაავლონ ზღვარი სიძულვილის ენის ისეთ ფორმებს შორის, რომლებიც:
ა) უნდა შეიზღუდოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ან
ბ) არის შეურაცხმყოფელი, საზიანო, თუნდაც შოკისმომგვრელი, მაგრამ საკმარისად სერიოზული არ არის სამართლებრივი შეზღუდვისთვის. ამ უკანასკნელთან შეწინააღმდეგების გზა უნდა იყოს კულტურათაშორისი დიალოგისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა, მათ შორის, ტრადიციული და სოციალური მედიის მეშვეობით. ასევე, შესაბამისი საგანმანათლებლო, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გზით.

ერთ-ერთი მსგავსი რეკომენდაცია, რომელიც გამოკვეთს ამგვარი ზომების მიღების აუცილებლობას - არის ***ევროპის საბჭოს CM/Rec (2022)16 რეკომენდაცია სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ***,.

სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და სიძულვილის ენის წინააღმდეგ საბრძოლველად, რიგ შემთხვევაში, საკმაოდ მკაცრი ზომების (მაგ. როგორიცაა ზოგიერთ სახის სიძულვილის ენის კრიმინალიზაცია) შემუშავებისას მგრძნობელობის დაცვის მიზნით, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR) ექსპერტთა შეხვედრების სერია მოაწყო, რომლის შედეგადაც ***რაბათის სამოქმედო გეგმა*** შემუშავდა. რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რაც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების გარდა, შეიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს

სიძულვილის ენის სამი დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა, შესაძლოა, ან არ შეიძლება აიკრძალოს.

რაბათის სამოქმედო გეგმა ადგენს ე.წ. „ექვს კომპონენტიან ზღვრულ ტესტს“ და მოითხოვს სახელმწიფოების მხრიდან რიგი ფაქტორების გათვალისწინებას იმის განსაზღვრის დროს თუ რა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, სიძულვილის წაქეზებას და საერთაშორისო პაქტის 20-ე მუხლის გამოყენების საფუძველს. კერძოდ, ეს ფაქტორებია: (1) სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი; (2) მოსაუბრის სტატუსი; (3) მოსაუბრის განზრახვა წააქეზოს აუდიტორია მიზნობრივი ჯგუფის წინააღმდეგ; (4) სიტყვის შინაარსი და ფორმა; (5) მისი გავრცელების ხარისხი; (6) ზიანის მიყენების ალბათობა, მათ შორის გარდაუვალობა.



რაბათის სამოქმედო გეგმისა და ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე, გაეროს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიამ და სამოქმედო გეგმამ სიძულვილის ენის სამი დონე განსაზღვრა:

უმაღლესი დონე - საჭიროებს საკანონმდებლო აკრძალვებს
(სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 20 (2) მუხლი და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის 4-ე მუხლი)
ა) გენოციდის პირდაპირი და საჯარო წაქეზება;
ბ) სიძულვილის პროპაგანდა, რომელიც წარმოადგენს წაქეზებას დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობისკენ

შუალედური დონე - შეზღუდვები შეიძლება კანონიერად იქნას გამოყენებული, თუ დაკმაყოფილებულია კანონიერების, ლეგიტიმურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის ძირითადი მოთხოვნების ერთობლიობა.

ა) ძალადობის მუქარა
ბ) მიკერძოებულობით მოტივირებული შევიწროება

ქვედა დონე - არ საჭიროებს საკანონმდებლო შეზღუდვებს

აღნიშნულ დონეზე განიხილება დაცული სიტყვის თავისუფლება და სიძულვილის ენად შეიძლება კლასიფიცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ექცევა რაბათის სამოქმედო გეგმის ე.წ. „ექვს კომპონენტიან ზღვრული ტესტის“, საერთაშორისო პაქტის 19(3) მუხლით გათვალისწინებული ე.წ. „სამ კომპონენტიანი ტესტის“ კონტექსტში და გამოიყენება კონკრეტული პირის ან ჯგუფების მიმართ სიძულვილის გავრცელებისთვის, მათი დაცული მახასიათებლების გამო.

ა) შეურაცხმყოფელი გამონათქვამები[11]

ბ) მკრეხელობა (ღმერთის შეურაცხყოფა)

გ) ისტორიული მოვლენების უარყოფა (მაგალითად, გენოციდის)

დ) <u>დეზინფორმაცია, მცდარი ინფორმაცია და დამაზიანებელი ინფორმაცია.</u>[12]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სერიოზულობის დონის მიხედვით, ყველა სიძულვილის ენა არ არის საერთაშორისო სამართლით აკრძალული და არ საჭიროებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებას. თუმცა, საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობისთვის სიძულვილის ენასთან შესაწინააღმდეგებლად გარდა სიძულვილის ენის სერიოზულობაზე დაფუძნებული საკანონმდებლო შეზღუდვების უზრუნველყოფისა, უკიდურესად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ მედიასთან თანამშრომლობით ალტერნატიული ზომებისა და პოლიტიკის შემუშავება.[13]

---

[11] მაგალითად, განცხადებები, რომლებიც შეურაცხმყოფლად ან უპატივცემულოდ ითვლება სამთავრობო ორგანოების მიმართ, ან კრიტიკა და პოლიტიკური ოპოზიცია ყველა სამთავრობო ჩინოვნიკის მიმართ. OHCHR, 2024. ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.ohchr.org/en/documents/tools-and-resources/hate-speech-and-incitement-hatred-electoral-context

[12] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დეზინფორმაცია: ჟურნალისტიკის სწავლებისა და გადამზადების სახელმძღვანელო, იუნესკო, იუნესკოს სერიათა ციკლი ჟურნალისტიკურ განათლებაზე, 2018, ხელმისაწვდომია: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000265552, n.d.

[13] ARTICLE 19, „Hate Speech Explained: A Toolkit“ (London, 2015), გვ. 40-65, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.article19.org/resources/hate-speech-explained-a-toolkit/

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არსებული საერთაშორისო სტანდარტები მოუწოდებს ხელისუფლებებს, ინტერნეტ პროვაიდერებს, ონლაინ შუამავლებს და სოციალურ ქსელების მმართველებს „ხელი შეუწყონ სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ არსებული მოქმედებების განხორციელებას და წინააღმდეგობა გაუწიონ/აღკვეთონ სიძულვილის ენის გამოყენება“, რაც ამავდროულად არ დაარღვევს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლებას.[14]

ონლაინ სიძულვილის ენასთან მიმართებით, მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)2 რეკომენდაციაში ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ გათვალისწინებულია რიგი რეკომენდაციები/ნაბიჯები, რაც წევრმა სახელმწიფოებმა და ინტერნეტ შუამავლებმა უნდა გადადგან ონლაინ შევიწროების, სიძულვილის ენის და ძალადობის, განსაკუთრებით კი სქესის, რასის ან რელიგიის ნიშნით, წაქეზების მზარდი ტენდენციებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ასეთი ტენდენციების შესახებ ინფორმაცია ხშირად არ არის სათანადოდ შესწავლილი, ისინი იშვიათად განიხილება და ხშირად არ არის გამოძიებული.

რიგი საერთაშორისო სტანდარტი ხაზს უსვამს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას ტრადიციულ, სოციალურ მედიასა და ონლაინ პლატფორმებზე, განსაკუთრებით ძალადობის წამახალისებელ ან წინასწარ განწყობებთან და მიკერძოებულ დამოკიდებულებასთან ასოცირებული სიძულვილის ენის და ინფორმაციის გავრცელების რისკის არსებობის გათვალისწინებით. სიძულვილის ენის შესახებ მინისტრთა კომიტეტის N R (97) 20 რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ როდესაც სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამები ვრცელდება მედიით, შედეგი შეიძლება დამაზიანებელი აღმოჩნდეს თუ გავითვალისწინებთ რამდენად სწრაფია ინფორმაციის ონლაინ გავრცელების სიჩქარე და მასშტაბი. იმისთვის, რომ მოხდეს სხვა ადამიანების უფლებებისა და ღირსების

[14] Countering and Addressing Online Hate Speech: A Guide for policy makers and practitioners, UN, 2023, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://shorturl.at/6HBqq

პატივისცემა, მათ შორის, სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, ინტერნეტ-შუამავლებმა (რედაქციული პოზიციიდან გამომდინარე) უნდა გამოიყენონ ინტერნეტ რესურსები ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2011)7 რეკომენდაციის შესაბამისად.

ევროკავშირის ონლაინ სივრცეში არსებულ ყველა ონლაინ პლატფორმას უნდა ჰქონდეს შეტყობინებისა და რეაგირების პროცედურები, რათა ხელი შეეწყოს მომხმარებლების მიერ უკანონო, მათ შორის სიძულვილის ენის შინაარსის მქონე, კონტენტის შესახებ შეტყობინების გაგზავნას, როგორც ეს გათვალისწინებულია ციფრული სერვისების შესახებ კანონით (DSA). DSA ავალდებულებს ინტერნეტ პლატფორმებს, აცნობონ სამართალდამცავ ორგანოებს ნებისმიერი მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს. ეს გულისხმობს, რომ ინტერნეტში სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე შემთხვევების წაშლასთან ერთად, ხელისუფლებასაც უნდა ეცნობოს.

2016 წლის მაისში ევროკომისიამ რამდენიმე სოციალურ მედია პლატფორმასთან, მათ შორის, ფეისბუკთან, მაიკროსოფტთან, ტვიტერთან და იუთუბთან, თანამშრომლობით მიაღწია „ონლაინ უკანონო სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ქცევის კოდექსს“. კოდექსის მიზანია ონლაინ სიძულვილის ენის გავრცელების პრევენცია და შეჩერება.[15] მომდევნო წლებში, რამდენიმე სხვა პლატფორმამ, როგორიცაა ტიკ-ტოკი, ლინკდინი და ინსტაგრამი, გამოაცხადეს ქცევის კოდექსში მათი ჩართულობის შესახებ. ქცევის კოდექსის თანახმად, IT კომპანიები ვალდებულნი არიან ებრძოლონ ინტერნეტში უკანონო სიძულვილის ენას 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/913/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების შესაბამისად.[16]

---

[15] EU Commission, „The EU Code of conduct on countering illegal hate speech online“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://shorturl.at/hzPLX

[16] Council Framework Decision 2008/913/JHA of 28 November 2008 on combating certain forms and expressions of racism and xenophobia by means of criminal law, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=legissum:l33178

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა სიძულვილის წახალისების/პროპაგანდის აკრძალვა არჩევნების პერიოდში. არჩევნების დროს სიძულვილის ენის სამიზნე ხდებიან ისეთი მოწყვლადი ჯგუფები და ინდივიდები, როგორებიც არიან ქალები, ახალგაზრდები, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ლგბტქი+ თემი. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ჩანაწერში საარჩევნო კონტექსტში სიძულვილის ენისა და სიძულვილის წაქეზების შესახებ ჩამოთვლილია სიძულვილის ენის ის ფორმები, რომლებიც უნდა შეიზღუდოს და ისინი, რომლებიც არ უნდა შეიზღუდოს. გარდა ამისა, ეს ჩანაწერები სახელმწიფოებს ურჩევენ, გადადგან ყველა საჭირო სამართლებრივი და პრაქტიკული ნაბიჯი სიძულვილის ენის თავიდან ასაცილებლად და საარჩევნო პერიოდში სათანადო მგრძნობელობით იმოქმედონ.

აღსანიშნავია, რომ CRED-ის რეკომენდაცია N15 ხაზს უსვამს სიძულვილის ენის საპირისპირო აზრის გამოხატვის მნიშვნელობას არასრულწლოვანების, ახალგაზრდების და საჯარო პირების მიმართ. ბავშვები და ახალგაზრდები განსაკუთრებით დაუცველები არიან სიძულვილის ენის უარყოფითი ეფექტების მიმართ მათი ასაკის გამო. თუმცა, სიძულვილის ენის მავნე ზეგავლენების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისა და განათლების გზით, მათ შეუძლიათ იმ ცრურწმენების უკეთ დაძლევა, რომლებიც მის გამოყენებას უწყობს ხელს. შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება ასევე აუცილებელია საჯარო მოხელეების შემთხვევაში, რადგან ოფიციალურ თანამდებობაზე ყოფნა სახელმწიფოს მხრიდან მათი სავარაუდო მხარდაჭერის ასოციაციებს ქმნის და შესაბამისად, მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენება განსაკუთრებით მძიმე შედეგების გამომწვევია.[17]

[17] ECRI „რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ“, მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. 2016, პარა 99, https://shorturl.at/G0M6T

სიძულვილის ენის მარეგულირებელი ეროვნული სამართლებრივი ბაზა

საზოგადოებაში სიძულვილის ენის პრევენციისა და მასზე რეაგირების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართლებრივი ნორმები და შეზღუდვები უნდა განიმარტოს გონივრულად, თანმიმდევრულად და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისად. საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა უზრუნველმყოფი ერთ-ერთი მთავარი პუნქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას და სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას იგი.[18] კონსტიტუციის მე-17 მუხლი განსაზღვრავს გამოხატვის, მედიისა და ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს სხვათა უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლში ასახული დასაბუთებების გარდა, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის სხვა საფუძვლებსაც, სადაც ნათქვამია, რომ ეს აუცილებელია „ეროვნული უსაფრთხოების, (...) ტერიტორიული მთლიანობის... [და] სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.[19] დებულებები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ, სამართლიან და ეფექტიან მმართველობას. ეს შემზღუდავი ნორმები არასდროს არ უნდა იქნას გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების შესაჩერებლად, გაავრცელონ სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონის დარღვევის ფაქტები და არ უნდა ზღუდავდნენ საჯარო ინსტიტუტების, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების ან სახელმწიფო სხვა ინტერესების დამცველი უწყებების შესახებ ინფორმაციის გაცემას. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შეზღუდვისგან დაცული არიან ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებენ ინფორ-

[18] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 9(1), ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[19] იქვე, მუხლი 17.

მაციას შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ, ადამიანის უფლებების მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტების შესახებ.[20] მიუკერძოებელ სასამართლო ორგანოს უნდა შეეძლოს ეროვნული უსაფრთხოების ინფორმაციაზე წვდომის ამკრძალავი ნებისმიერი გადაწყვეტილების განხილვა, შესაბამისი მასალების გაცნობით.[21]

2014 წელს საქართველომ მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ყველა ადამიანის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა.

„(...) რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.

მართალია, სიძულვილის ენა განსხვავდება დისკრიმინაციული ქცევისგან და თავად კანონი პირდაპირ არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც გმობს სიძულვილის, მათ შორის რასობრივი სიძულვილის, წახალისებას ან გამართლებას, მიუხედავად ამისა, ეს სამართლებრივი დებულებები აუცილებელია ცრურწმენებისა და ნარატივების იმ ნიშნების განსაზღვრისთვის, რომლებიც მოტივირებულია მიკერძოებით.

[20] გამოხატვის თავისუფლება და ეროვნული უსაფრთხოება: შეჯამება, Article 19, 2020 წელი, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.article19.org/resources/foe-and-national-security-a-summary/
[21] იქვე.

საჯარო სფეროში სიძულვილის ენის პრევენციის კუთხით, საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს პარლამენტის წევრების ვალდებულებას, პატივისცემით მოეპყრონ „პარლამენტის სხვა წევრებსა და მოქალაქეებს“ და არ გამოიყენონ სიძულვილის ენა „რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის ან სხვა კრიტერიუმებით განსაზღვრული უმცირესობების მიმართ“. ეთიკის კოდექსით პარლამენტის წევრს არ აქვს უფლება განახორციელოს ქმედებები, გააკეთოს შენიშვნები ან გამოიყენოს სხვა სახის სიძულვილის ენა, რომელიც არის დამამცირებელი, ვულგარული, სექსისტური ან დისკრიმინაციული.[22]

საზოგადოების მიერ პეტიციების გაკეთების ფუნდამენტური უფლების კონტექსტში სიძულვილის ენის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს მკაფიო აკრძალვას პარლამენტის ვებგვერდზე ისეთი პეტიციების გამოქვეყნებაზე, რომლებიც შეიცავს მოწოდებებს „(...) ომისკენ, სიძულვილისკენ ან დისკრიმინაციისკენ, ან აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს,“ ანდა ქმნის ასეთი ქმედების აშკარა საფრთხეს.[23]

საქართველოს მთავრობის №200 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ ზღუდავს საჯარო მოხელეთა სიტყვის თავისუფლების ფარგლებს, მოუწოდებს რა მათ თავშეკავებისკენ საჯაროდ გამოიყენონ სიძულვილის ენა ან/და დისკრიმინაციული შენიშვნები, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელება.[24] საარჩევნო კონტექსტში სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციის საკითხთან

[22] საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი, 2019, მუხლები 2-3, ხელმისაწვდომია: *https://matsne.gov.ge/ka/document/view/4489058?publication=0*
[23] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018, მუხლი 203, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=67
[24] საქართველოს მთავრობის დადგენილება №200 საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, 2017, მუხლი 11, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0

დაკავშირებით, დებულებები, რომლებიც კრძალავს თანამდებობის პირების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას, გათვალისწინებულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა ეთიკის კოდექსში.[25]

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელს ავალდებულებს, განახორციელოს ზომები, რომლებიც იცავს საზოგადოებას ისეთი ვიდეორგოლის, პროგრამის ან აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის გავრცელებისგან, რომლებიც ახდენს „(...) ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ვიდეორგოლის, პროგრამის ან აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის კონტექსტის გათვალისწინებით და არ არსებობს სიძულვილის ენის გავრცელების განზრახვა“. კანონი ასევე განმარტავს, რომ ვიდეორგოლი, პროგრამა ან აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის ენის შემცველად მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის გამო.[26]

2024 წელს, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა დაამტკიცა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების ეთიკის კოდექსი.[27] კოდექსმა განსაზღვრა უწყების თანამშრომლების ქცევის სტანდარტი და დააფუძნა ის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ღირებულებებზე, ასევე დისკრიმინაციული და სიძულვილის შემცველი ენის გამოყენების დაუშვებლობაზე.[28] კოდექსმა ასევე დაავალდებულა სპეციალური

---

[25] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №49/2021 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2021, მუხლი 8, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5246068?publication=0

[26] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2004, მუხლი 45^4 და მუხლი 55^2, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=80#

[27] სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://sis.gov.ge/funqtion?lng=geo

[28] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანება №20 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2024, https://matsne.gov.ge/ka/document/view/6221690?publication=0

საგამოძიებო სამსახური, დაიცვას ყველა ის კანონი და წესი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ადამიანისთვის თანაბარ შესაძლებლობებს და იმუშაოს სიძულვილის ენისა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით.[29]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სიძულვილის ენის მარეგულირებელი სახელმწიფო პოლიტიკისა და ვალდებულებების ამსახველი კონვენციების უმეტესობის ხელმომწერია, და ეროვნული სამართლებრივი ბაზის ნაწილი ჰარმონიზებულია საერთაშორისო სტანდარტებთან, პრაქტიკაში, სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, სახელმწიფო პოლიტიკას და სამართლებრივი ნორმების აღსრულებას აკლია მგრძნობელობა, ეფექტიანობა და პოლიტიკური ნება.[30] საარჩევნო კონტექსტში, პოლიტიკურმა აქტორებმა, განსაკუთრებით კი მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა,[31] არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენის შემცველი, სექსისტური და დამამცირებელი ნარატივები და განცხადებები, რომლებიც არ არის მგრძნობიარე პოლიტიკური კლიმატის მიმართ. ეს განცხადებები განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან მათ შეუძლია გამოიწვიოს გარკვეულ ჯგუფებში და ონლაინ საუბრებში სიძულვილის ენის პროპაგანდა და მიკერძოებული, მათ შორის, რიგ შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქცევის პროვოცირება.[32]

---

[29] იქვე, მუხლი 5 და მუხლი 12.

[30] Giorgi Lomsadze, „Georgia's hate speech legislation spurs censorship concerns“, Eurasianet, Oct 27, 2023, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://eurasianet.org/georgias-hate-speech-legislation-spurs-censorship-concerns

[31] ინტერპრესნიუსი, „ლატვიის სეიმის წევრი - ბექა ოდიშარიას სიტყვები ამაზრზენი და ბილწია - მას საქართველოში ლატვიის საპატიო კონსულის სტატუსი უნდა ჩამოერთვას“, 04.04.2024. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/793983-latviis-seimis-cevri-beka-odisharias-sitqvebi-amazrzeni-da-bilcia-mas-sakartveloshi-latviis-sapatio-konsulis-statusi-unda-chamoertvas

[32] „სოციალური სამართლიანობის ცენტრი პარლამენტში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გამოყენებულ უმძიმეს სექსისტურ განცხადებებზე დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს“, 2 ნოემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-parlamentshi-kali-politikosebis-mimart-gamoqenebul-umdzimes-seksistur-gantskhadebebze-daugonebliv-reagirebas-itkhovs

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვა ნიშნით ადამიანთა მიმართ შეუწყნარებლობას დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს.[33] სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად,

„დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის გამო, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.“

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სიძულვილით მოტივირებული მძიმე შემთხვევებისთვის, როგორიცაა რასობრივი ან ეროვნული შუღლის წახალისება[34] ან ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ წაქეზება.[35]

რაც შეეხება მიკერძოებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით - „შეუწყნარებლობით“) მოტივირებულ დანაშაულებს, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების უმრავლესობას გენდერული შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები წარმოადგენს.[36]

---

[33] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, 2024 წლის ივლისის მდგომარეობით, მუხლი 53[1], ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=274

[34] იქვე, მუხლი 142[1] (რასობრივი დისკრიმინაცია).

[35] იქვე, მუხლი 239[1] (ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება).

[36] „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2023, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf

1.3 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებისა და სტრატეგიების შემუშავება საჭიროებს თანამშრომლობას გლობალურ და ეროვნულ დონეზე მოქმედ სხვადასხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს შორის. გაეროსა და ევროკავშირის სისტემებში არსებობს არაერთი სამუშაო ჯგუფი და კომიტეტი, რომელიც შედგება სხვადასხვა ექსპერტებისგან და რომლებიც ქმნიან როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო ხასიათის სამართლებრივ ნორმებს და უზრუნველყოფენ განათლებისა და პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის შემუშავების პროცესში გაეროს სისტემამ გააერთიანა 16 სტრუქტურული ერთეული, მათ შორის, გაეროს გენოციდის პრევენციისა და დაცვის ვალდებულების მქონე ოფისი (OSAPG), რომელიც არის სტრატეგიის კოორდინატორი.

გაეროს საველე წარმომადგენლობების ცოდნითა და დამატებითი სახელმძღვანელო მითითებებით დახმარების გარდა, რაც მათ გაეროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში დაეხმარება, გაეროს სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შესთავაზოს მხარეებს სტრატეგიისა და გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო პირდაპირი ტექნიკური დახმარება და მხარდაჭერა.

გაეროს ხელშემკვრელი ორგანოები

ადამიანის უფლებათა უზრუნველმყოფი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაზე ზედამხედველობის, სიტყვის თავისუფლების დაცვისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაზე გაეროს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის გარდა, დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი სხვადასხვა ხელშემკვრელი ორგანო მუშაობს.

დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ეს ხელშემკვრელი ორგანოები ფოკუსირდება:

- მონაწილე სახელმწიფოების პერიოდული ანგარიშების განხილვაზე;
- ინდივიდუალური საჩივრების განხილვაზე;
- ადგილზე გამოძიების ჩატარებაზე;
- ზოგადი შინაარსის შენიშვნების მიღებასა და თემატური დისკუსიების ორგანიზებაზე;
- თავმჯდომარეების წლიურ შეხვედრაში მონაწილეობაზე;
- ხელშემკვრელ ორგანოთა სისტემის გაძლიერების ხელშეწყობაზე.

სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე გაეროს ხელშემკვრელი ძირითადი ორგანოებია:

- ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC)
- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD)
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები განიხილავენ ინდივიდუალურ საჩივრებს, რომლებიც უკავშირდება ძალადობას, ლგბტქი+ თემის მიმართ სიძულვილს, ეთნიკურ სიძულვილს, რელიგიურ სიძულვილს, გენოციდის უარყოფას, ანტისემიტიზმს და სხვ.

ერთ-ერთი ასეთ საქმეს წარმოადგენს ლ. კ. ნიდერლანდების წინააღმდეგ:[37]

1989 წელს, საჩივრის ავტორს, რომელიც იყო შეზღუდული შესაძლებლობის პირი, ოჯახისთვის ბინის ქირაობა შესთავაზეს უტრეხტში (ნიდერლანდები). როდესაც ის მეგობართან ერთად მივიდა ბინის სანახავად, სახლთან შეკრებილი იყო დაახლოებით 20 ადამიანი, რომელთაგან ზოგი ყვიროდა: „არავითარი უცხოელები აღარ გვინდა“. სხვებმა მომჩივანს უთხრეს, რომ თუ ის ბინას მიიღებდა, ისინი დაწვავდნენ სახლს და დაუზიანებდნენ ავტომობილს. დაზარალებულმა საჩივარი შეიტანა პოლიციაში, თუმცა ამტკიცებდა, რომ გამოძიება სათანადოდ არ ჩატარებულა.

გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ საქმეში დაირღვა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის მე-4 მუხლი.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ კანონის მთელი სიმკაცრით და ოპერატიულად უნდა განიხილოს რასობრივი ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ხორციელდება ჯგუფის მიერ და საჯაროდ. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ ვალდებულებას თავი ვერ გაართვა.

ასევე, კომიტეტმა მიიჩნია, რომ ინციდენტებზე არასაკმარისი რეაგირების პირობებში, პოლიციამ და სამართლებრივმა სისტემამ არ უზრუნველყვეს საჩივრის ავტორის სათანადო დაცვა და არ შესთავაზეს მას სამართლებრივი დაცვის გზები, რაც კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად ჩაითვალა.

[37] L.K. V The Netherlands, Posted on 01.11.2021 in Ethnic hatred, Hate speech cases UN, The Netherlands, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://futurefreespeech.org/l-k-v/’’;;lpppokmnkkkjhf-the-netherlands/

გაეროს სპეციალური პროცედურები

სიძულვილის ენასთან ბრძოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურები, რომელიც შედგება მიუკერძოებელი ექსპერტებისგან, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, მოამზადონ ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეროვნული ან თემატური ანგარიშები და რეკომენდაციები.

სპეციალური პროცედურები ხორციელდება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) ოფისის მხარდაჭერით და მათ უფლება აქვთ:

- განახორციელონ ვიზიტები ხელშემკვრელ ქვეყნებში;
- რეაგირება მოახდინონ ადამიანის უფლებათა სავარაუდო კონკრეტულ დარღვევებზე და უფრო ზოგად საკითხებზე სახელმწიფოებთან და სხვებთან (მაგ. საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან) დაკავშირების გზით;
- მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებათა დაცვის გლობალური ნორმების შემუშავებაში;
- დაიცვან, გაანათლონ საზოგადოება და შესთავაზონ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ტექნიკური თანამშრომლობა და ხელმძღვანელობა.

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის <u>მნიშვნელოვანი მანდატის მფლობელი</u>, სხვებთან ერთად, არის სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში, სპეციალური მომხსენებელი მიგრანტების უფლებების საკითხებში, სპეციალური მომხსენებელი უმცირესობების საკითხებში, სპეციალური მომხსენებელი რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის თანამედროვე ფორმების საკითხებში და ა.შ.

სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე მომუშავე მაღალი დონის ჯგუფი

2016 წელს ევროკომისიამ შექმნა სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მაღალი დონის ჯგუფი. ჯგუფი დაარსდა ეროვნული ხელისუფლების ექსპერტების, ევროპის საბჭოს, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (OSCE/ODIHR), გაეროს, ევროკავშირის სააგენტოების (FRA, CEPOL) და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შემადგენლობით.

არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების უფრო ეფექტიანი პრევენციისა და მათთან ბრძოლის პრაქტიკული მოლაპარაკებების წახალისების გარდა, ჯგუფი ცდილობს ხელი შეუწყოს ეროვნულ ხელისუფლებას შორის საუკეთესო პრაქტიკის უფრო ფართო გაცვლას და გავრცელებას. გარდა ამისა, მაღალი დონის ჯგუფი სთავაზობს ფორუმს შეუწყნარებლობის განსხვავებული ტიპების უნიკალური მახასიათებლების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირებისთვის საჭირო ფოკუსირებული მოლაპარაკებებისთვის, ამა თუ იმ თემის და სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივების გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სიძულვილის წაქეზებისა და გამოხატვის თავისუფლების საქმეებზე იყენებს ორ მიდგომას:[38]
ა) გამორიცხვის მიდგომა - რომლის მიხედვითაც გამოიყენება კონვენციის მე-17 მუხლი (უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა). ეს მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც სადავო გამონათქვამი წარმოადგენს სიძულვილის ენას და უარყოფს კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

[38] Hate Speech, European Court of Human Rigths, Factsheet, 2023, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.echr.coe.int/documents/d/echr/FS_Hate_speech_ENG

ბ) შეზღუდვების მიდგომა - რომელიც ეფუძნება კონვენციის 10(2) მუხლს. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა სადავო გამონათქვამი თუნდაც სიძულვილის ენა რომ იყოს, მან ნაკლებად სავარაუდოა დააზიანოს კონვენციის ფუძემდებლური იდეები.

ერთ-ერთი მეთოდის გამოყენების მაგალითს წარმოადგენს საქმე ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ.

1985 წლის მაისში ჟურნალმა Sunday News-მა გამოაქვეყნა სტატია ქსენოფობიური და რასისტული დაჯგუფების - „მწვანე ჟაკეტების“ გააქტიურებაზე, რომლის წევრებიც კოპენჰაგენის საზოგადოებრივ საცხოვრებელ კომპლექსში ცხოვრობდნენ. ორი თვის შემდეგ იმავე გამოცემაში გამოქვეყნდა დანიელი ჟურნალისტის იენს ოლაფ ჯერსილდის ინტერვიუ „მწვანე ჟაკეტების“ სამ წევრთან. ხუთსაათიანი ინტერვიუ იყო შემცირებული რამდენიმე წუთამდე, რომლის განმავლობაში დაჯგუფების წევრმა სამმა ახალგაზრდამ გააკეთა დამამცირებელი განცხადებები რასობრივ უმცირესობებსა და იმიგრანტებზე დანიასა და მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ არც რადიოს საბჭოს და არც დანიის რადიოს არ მიუღიათ საჩივარი, ოლბორგის ეპისკოპოსმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართა იუსტიციის მინისტრს, რის შედეგადაც ბრალი წაუყენეს სამ ახალგაზრდას, ჟურნალისტ ჯერსილდს, რომელმაც ინტერვიუ ჩაატარა და გადაცემა მოამზადა, და ასევე ლასე იენსენს - დანიის რადიოს საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს.

ჯერსილდი დამნაშავედ ცნეს და რასისტული განცხადებების გავრცელებაში ხელშეწყობისთვის ჯარიმით დასაჯეს.

ჯერსილდმა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. მისი საჩივრის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში დაადგინა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განსხვავება გაავლო „მწვანე ჟაკეტების“ წევრებსა და თავად მომჩივანს შორის - ახალ-

გაზრდებმა ღიად გააკეთეს რასისტული განცხადებები, ხოლო ჯერსილდი მიზნად ისახავდა ამ კონკრეტული ახალგაზრდული ჯგუფის გაშუქებას, ანალიზსა და ახსნას, ისევე როგორც იმ პრობლემატური საკითხების წარმოჩენას, რომლებზეც საზოგადოება ისედაც შეშფოთებული იყო. სასამართლომ დაასკვნა, რომ დოკუმენტური ფილმის მიზანი იყო მაყურებლისთვის სოციალური პრობლემის გაცნობა და არა რასისტული შეხედულებებისა და იდეოლოგიის პროპაგანდირება. შედეგად, სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის 10-ე მუხლის (გამოხატვის თავისუფლების) დარღვევა.

ადამიანის ევროპული სასამართლო, როგორც წესი, დაუშვებლად მიიჩნევს ისეთ საჩივრებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონვენციის ღირებულებებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც:[39]

- შთაგონებულია ტოტალიტარული დოქტრინით;
- გამოხატავს იდეებს, რომლებიც დემოკრატიულ წესრიგს ემუქრება;
- ხელს უწყობს ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და საქმეთა გადაწყვეტისას, ასევე პასუხისგებაში მისცეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში მხილებული პირები. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა შეიძლება ჩაითვალოს დამამცირებელ მოპყრობად კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, თუ ის საკმარისად მძიმეა იმისათვის, რომ შეურაცხყოს ადამიანის ღირსება. ძალადობრივი დანაშაულების გამოძიებისას, სახელმწიფო მოხელეებმა უნდა გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი ნებისმიერი დისკრიმინაციული მიზეზის დასადგენად.[40]

---

[39] იქვე.

[40] Hate Crime and Hate Speech, Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, DG1, Thematic Factsheet, Council of Europe, 2022, https://rm.coe.int/thematic-factsheet-hate-crime-eng-docx/1680a96865

თავი II
სიძულვილის ენა მედიაში – გამოვლენა და პრევენცია

2.1. სიძულვილის ენა მედიაში. ნიშნები და ფორმები.

სიძულვილის ენის განსაზღვრა მედიაში

ტერმინის „სიძულვილის ენა მედიაში“ სწორი და ზუსტი განმარტება არ არსებობს. თუმცა, ზოგადი წარმოდგენა ამ ცნების შესახებ ახლოს დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ განმარტებასთან. ამიტომ, მისი შემდეგნაირად გამოხატვა შეიძლება: სიძულვილის ენა მედიაში - ეს არის განზრახ (ან იშვიათად - უნებლიე) უარყოფითი (შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი) ტერმინოლოგიის, ფრაზების ან ცალკეული სიტყვების გამოყენება კონკრეტული ადამიანების ჯგუფის ან ინდივიდის მიმართ, ნეგატიური ექსპრესიული ელფერის მინიჭების მიზნით - ეთნიკური, გენდერული, რელიგიური, პროფესიული, პოლიტიკური ან სხვა მახასიათებლების საფუძველზე. სიძულვილის ენის კატეგორიაში ასევე შეიძლება მოხვდეს მუქარაც.

მედიაში სიძულვილის ენის გამოყენება, როგორც წესი, განიხილება პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმად. მაშინ, როდესაც პროპაგანდის გავრცელება ეწინააღმდეგება თავისუფალი მედიის მუშაობის ძირითად პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რადგან ნებისმიერი მედიაპლატფორმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ობიექტური და სანდო ინფორმაციის გავრცელება ყოველგვარი სუბიექტური შეფასებების გარეშე, რომლებიც შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ერთ-ერთი მხარის პოზიციის გამოხატვა, ან ალტერნატიული მოსაზრების თავსმოხვევა.

თუმცა, პრაქტიკაში ზოგი მედია ხშირად ხდება პროპაგანდის გამავრცელებელი. ასეთი სახის მედიასაშუალებები პირობითად ორ ტიპად იყოფიან:

1. მედიაპლატფორმები, რომლებიც თითქმის სრულად აშენებენ თავიანთ საინფორმაციო პოლიტიკას პროპაგანდაზე და, შესაბამისად, აქტიურად იყენებენ სიძულვილის ენას თავიანთ მასალებში;

2. მედიაპლატფორმები, რომლებიც ცდილობენ ნაწილობრივ მაინც დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები შესაბამისი დადებითი რეპუტაციის შესაქმნელად და, შესაბამისად, ცდილობენ თავი აარიდონ სიძულვილის ენის ღიად გამოყენებას, მაშინაც კი, როდესაც პროპაგანდას ავრცელებენ.

არსებობს მრავალი მექანიზმი როგორ შეიძლება პროპაგანდის „დამალვა“ ან შენიღბვა - მაგალითად, საავტორო „სვეტების“ და რუბრიკების საშუალებით, რომლებიც გამოხატავენ კონკრეტული ავტორის პირად მოსაზრებებს. ამგვარ მასალებში არსებული მინიშნებები, მაგალითად - „ავტორის მოსაზრება შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას“ - რეალურად არ ზღუდავს პროპაგანდის გავრცელებას და მხოლოდ ტექნიკურ მარკერს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც რედაქციას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, უარყოს კავშირი მასალასთან ან/და ის უკან გამოითხოვოს.

თუ შევაჯამებთ სიძულვილის ენის პრაქტიკულ ფუნქციებს მედიაში, ეს არის ერთგვარი იარაღი, რომელიც ეკუთვნის კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებს (პირობითად, *ჯგუფი A*), რათა მათ გაამახვილონ ყურადღება მეორე ჯგუფის (*ჯგუფი B*) მათივე თვალსაზრისით უარყოფით მახასიათებლებზე, იმგვარად, რომ მოხდეს გარკვეული იდეის/შეხედულებების ირგვლივ კონსოლიდაცია A ჯგუფში და შეიქმნას შთაბეჭდილება A ჯგუფის უპირატესობის შესახებ. სიძულვილის ენის გამოყენება აფერხებს მშვიდობიანი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ჯგუფებს ან ინდივიდებს შორის.

სიძულვილის ენის ნიშნები და ფორმები მედიაში

სიძულვილის ენის ფორმები, რომლებსაც სხვადასხვა მედიასაშუალება იყენებს, საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, მათ შორის ხშირია გადაკვეთაც, რაც ართულებს მათ განსხვავებას. ბევრი რამ დამოკიდებულია შინაარსის ზოგად კონტექსტზე. უნდა გვესმოდეს, რომ ამა თუ იმ მედიაში სიძულვილის ენის ცალკეული გამოვლინებები ყოველთვის არ გულისხმობს ეროვნულ, რელიგიურ ან სხვა ნიშნებზე აპელირებას, რადგან მსგავსი მიდგომა უმეტეს საზოგადოებებში იმთავითვე უარყოფითად აღიქმება. არსებობს პროპაგანდის გავრცელების მრავალი სხვა გზა, რომლებიც თავს არიდებენ სენსიტიური თემების პირდაპირ მოხსენიებას. სწორედ ასე მოქმედებს ხშირად სახელმწიფო, პოლიტიკური[41] ან რელიგიური პროპაგანდა მედიაში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია სიძულვილის ენის გამოვლენის რამდენიმე პირობითი ფორმის გამოყოფა მათი ნიშნებისა და მიზნების მიხედვით:

ა) ღია შეუწყნარებლობისა და მტრული დამოკიდებულების გამოხატვა

ამ ფორმის ამოცნობა, ალბათ, ყველაზე მარტივია. იგი გამოიხატება აშკარა შეუწყნარებლობითა და უარყოფითი დამოკიდებულებით კონკრეტული ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ, რომელთა გამორჩეული ნიშნებია რასა, ეთნიკურობა, რელიგია, გენდერი, პოლიტიკური შეხედულება და სხვა. თუ რომელიმე მედიასაშუალების ტექსტში ან ტელეეთერში გვხვდება შემდეგი სახის გზავნილები: „ქალებს პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ“, „თეთრკანიანები ნაკლებ დანაშაულს სჩადიან, ვიდრე ფერადკანიანები“, „მუსლიმები ვერ ახერხებენ სრულ ინტეგრაციას“, ჰომოსექსუალების ადგილი ჯარში არ

[41] არ უნდა აგვერიოს სახელმწიფო და პოლიტიკური პროპაგანდა. სახელმწიფო პროპაგანდა კონკრეტული სახელმწიფოს კონკრეტული ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება და ხშირად არ ეხება პოლიტიკურ ასპექტებს, მაშინ როდესაც პოლიტიკური პროპაგანდა ასახავს მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური ძალების, მოღვაწეების ან ზოგჯერ იდეოლოგიების ინტერესებს, როგორც ერთი სახელმწიფოს შიგნით, ასევე რამდენიმე სახელმწიფოს ფარგლებშიც.

არის“, „მემარჯვენეები - ლატენტური ფაშისტები არიან“, „ოპოზიციის წარმომადგენლები - რადიკალები არიან“ და ა.შ. ეს უდავოდ ღია შეუწყნარებლობის გამოვლინებაა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ჯგუფების მისამართით აშკარა შეურაცხმყოფელი სიტყვები არ იხმარება და ეს ფრაზები შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც „სუბიექტური/ინდივიდუალური მოსაზრებები, რომლებიც არ ასახავს უმრავლესობის აზრს“. აღნიშნული ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ მარტივად ამოსაცნობია, შედარებით იშვიათად გამოიყენება, რადგან ეხება იმ სენსიტიურ ასპექტებს, რომლებთან დაკავშირებითაც ბევრ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია კონსენსუსი და მათი უარყოფითი კონტექსტით მოხსენიება კრიტიკულად განიხილება. მიუხედავად ამისა, სიძულვილის ენით გაჟღერებული მსგავსი გზავნილების ტირაჟირება მაინც მოქმედებს აუდიტორიის ცნობიერებაზე (სამწუხაროდ, ინფორმაციის მიმღები ყველა ადამიანი არ ფლობს კრიტიკულ აზროვნებას) და ხელს უწყობს სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ზრდის აგრესიის დონეს კონკრეტული ჯგუფებისა და ინდივიდების მიმართ.

ბ) სტერეოტიპები და ცრურწმენები

სიძულვილის ენის ამ ფორმას უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე პირველს, თუმცა ზოგ შემთხვევაში, იგი თითქმის იმეორებს პირველ ფორმას (მაგალითად, „ქალებს პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ“ - ესეც სტერეოტიპია). როგორც უკვე აღინიშნა, სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმები ხშირად მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. მიუხედავად ამისა, სტერეოტიპები და ცრურწმენები შეიძლება გამოვყოთ დამოუკიდებელ ფორმად, განსაკუთრებით იმ ისტორიული ურთიერთობების კონტექსტში, რაც არსებობდა ცალკეულ ჯგუფებსა და ხალხებს შორის (მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ნეგატიური გამოთქმები, როგორიცაა „მაკარონნიკები“ და „ბაყაყის მჭამელები“).

ნეგატიური სტერეოტიპები, რომლებსაც ერთი ჯგუფის ადამიანები განიცდიან სხვების მიმართ, მჭიდროდ არის დაკავშირებული სიძულ-

ვილის ენის გამოყენებასთან. ინდივიდი *ჯგუფი A*-დან, რომელიც ფიქრობს, რომ *ჯგუფი B*-ს წევრთა უმეტესობა „ძუნწია“, „ზარმაცია“, „სულელია“ და ა.შ., მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მისი ჯგუფის სხვა წევრებიც ამბობენ, უფრო მარტივად მიიღებს, აითვისებს და მხარს დაუჭერს სიძულვილისა და შეუწყნარებლობის შემცველ სხვა განცხადებებსაც *ჯგუფი B*-ს მიმართ.

სტერეოტიპები შეიძლება არა მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში დამკვიდრებული ფორმულირებები იყოს, არამედ თანამედროვე ნეოლოგიზმებიც. ამასთან, საქმე მხოლოდ ისეთ გამოთქმებს არ ეხება, როგორიცაა «ბაყაყის მჭამელები». სტერეოტიპები და ცრურწმენები სიძულვილის ენის გამოყენებით ასევე ნიშნავს კონკრეტული დამოკიდებულების თავსმოხვევას კონკრეტული საკითხის მიმართ - ხშირად არსებული პოლიტიკური ან სოციალური კონიუნქტურის გათვალისწინებით, რაც ურთიერთობებში სხვადასხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში თავსმოხვევას აქვს ადგილი სწორედ სტერეოტიპულ აზროვნებაზე დაყრდნობით. აი, მაგალითად, როგორ ვლინდება ეს მედიის საშუალებით:

ამონარიდი Lenta.ru-ს მასალიდან: *„ენის მიმართ სიძულვილი იწვევს სიბნელეს. რატომ კრძალავენ ყაზახეთში რუსულ ენაზე სწავლას, ენაზე, რომელზეც ქვეყნის მილიონობით მოქალაქე საუბრობს?“*

„...2021 წლის იანვრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყაზახეთში *ნაციონალისტებმა* გააძლიერეს თავიანთი პოზიციები. *ანტირუსულ რიტორიკას* ოფიციალურად იცავს ფრაქცია «აკ ჟოლ», რომელიც მოითხოვს რუსული სახელწოდებების ლიკვიდაციას ქალაქებისთვის და 1930-იანი წლების შიმშილის *უკრაინის მაგალითზე* „ყაზახური ერის გენოციდად“ აღიარებას. რამდენიმე *რადიკალი ნაციონალისტი*, მათ შორის აიდოს სარიმი, რომელიც *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში* და *სხვა სახელმწიფოებრივ თუ პოლი-*

ტიკურ სტრუქტურებში მიიღეს, მმართველი პარტია „ნურ ოტანის“ ფრაქციაშიც შეიყვანეს“.[42]

მხოლოდ ერთ მოკლე აბზაცში ავტორი რამდენჯერმე იყენებს სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და უარყოფითი ასოციაციების გაძლიერების მეთოდს - რაც ასევე პროპაგანდის ერთ-ერთი იარაღია. რის საფუძველზე ასკვნის ავტორი, რომ ფრაქცია «აკ ჟოლ» ნაციონალისტურია? რატომ თვლის მას ანტირუსულად? მხოლოდ იმის გამო, რომ ის თავისი ენის პოზიციის გამყარებას უჭერს მხარს? რაში სჭირდებოდა ავტორს უკრაინის მოხსენიება, რომელსაც რუსულ მედიაში უკვე დიდი ხანია სტერეოტიპული იარლიყი - „ნაციონალისტური სახელმწიფო“ მიაწერეს? იგივე შეიძლება თქვას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სტერეოტიპული მოხსენიების შემთხვევაშიც. გამოდის, რომ თუ ყაზახური პარტიის წარმომადგენელმა ამერიკელ პოლიტიკოსებთან შეხვედრა გამართა - ის უკვე აპრიორი ითვლება „რადიკალურ, ანტირუს პოლიტიკოსად და ნაციონალისტად“? მასალის სათაურშიც კი, ავტორი იყენებს ფორმულირებას, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს სტერეოტიპულ მსჯელობად და ცრურწმენად. ცნობილია, რომ ყაზახეთში რუსულ ენაზე სწავლა არ იკრძალება და აღნიშნული ენა სრულიად თავისუფლად გამოიყენება, რაც, სხვათა შორის, მასალიდანაც ჩანს. მიუხედავად ამისა, ავტორი უარყოფითი ემოციური ფონის გასაძლიერებლად, მაინც იყენებს მსგავს ინსტრუმენტს/მეთოდს, რაც შესაბამისად აყალიბებს მკითხველის გარკვეულ დამოკიდებულებას.

გ) განზოგადება, ასოციაციური (სენსიტიური) სიტყვათშეთანხმებები

განზოგადება - ეს არის ის, რასაც უნდა ავარიდოთ თავი, განსაკუთრებით მედიასთან მიმართებით. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიძულვილის ენის პრევენციისთვის, არამედ ნეიტრალური

[42] Lenta.ru, Никита Мендкович, „Ненависть к языку ведет к мракобесию. Почему в Казахстане запрещают обучение на русском языке, на котором говорят миллионы граждан страны?“, 2021, https://lenta.ru/articles/2021/03/26/kaz/ , ნ.ბ.

სიუჟეტების წარმოების შემთხვევაშიც. რიგ მედია ორგანიზაციაში, რომელიც იცავს ჟურნალისტურ ეთიკას, არსებობს დაუწერელი წესი, რომლის თანახმადაც ჟურნალისტები მაქსიმალურად თავს იკავებენ ისეთი სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების გამოყენებისგან, როგორიცაა: *უმრავლესობა, უმცირესობა, დიდი ნაწილი, მცირე ნაწილი, ყოველი მეორე/მესამე, საზოგადოება მთლიანობაში, საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილი, მარგინალური ჯგუფები, თითქმის ყველა* და სხვა. შეუძლებელია ითქვას, რომ მათი გამოყენება სრულად არის აკრძალული, თუმცა, ასეთი ტერმინების გამოყენება არასასურველად მიიჩნევა, ვინაიდან ისინი გადმოსცემენ მთხრობლის სუბიექტურ პოზიციას და შეფასებით დამოკიდებულებას.

ვთქვათ, რომელიმე ქვეყანაში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები მთავრობის წინააღმდეგ და სხვადასხვა ქალაქში პოლიციასთან შეტაკებები ხდება. კორესპონდენტს, მიუხედავად იმისა, ვის უჭერს მხარეს როგორც მოქალაქე, არ აქვს უფლება იმის მტკიცების, რომ „უმრავლესობა მთავრობის წინააღმდეგ გამოდის“ ან რომ „პოლიციასთან შეტაკებებში საზოგადოების მარგინალური ჯგუფები მონაწილეობენ“. სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში, კორესპონდენტს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, მოსახლეობის რომელი ნაწილი უჭერს მხარს ან ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, ან მართლაც წარმოადგენს თუ არა პროტესტის მონაწილეთა ნაწილი მარგინალურ ჯგუფს.

თუ კორესპონდენტი თავის მასალაში მაინც იყენებს განზოგადებულ ტერმინს, მან ეს უნდა დაადასტუროს კონკრეტული ფაქტით. მაგალითად, თუ ის აცხადებს, რომ „საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას“, მან უნდა მოიყვანოს კონკრეტული ფაქტი, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომლებიც პერიოდულად სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ტარდება ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მედიაში განზოგადების ხერხების გამოყენება შეიძლება მოიცავდეს სიძულვილის ენის გამოყენებას. უფრო მეტიც, ნებისმიერი ნეგატიური განზოგადება თავისთავად წარმოადგენს დამამცირებელ, შეუწყნარებლობის ან/და უკიდურეს შემთხვევაში, სიძულვილის ფორმას.

აი, როგორ ვლინდება განზოგადება პროპაგანდისტული მედიის საქმიანობაში. გამოცემა Rusvesna.su, მასალა: **„არ გვინდა სიკვდილი – უკრაინელი მამაკაცები მასობრივად გარბიან მობილიზაციისგან მოლდოვაში“.**[43]

უკვე სათაურშივე ავტორი მიმართავს განზოგადების ხერხს, იყენებს სიტყვას „მასობრივად“, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში საუბარია მხოლოდ უკრაინის რვა მოქალაქეზე, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყნის დატოვებას. თავად მასალის შინაარსიც აჩენს კითხვებს, თუმცა ავტორის მთავარი გზავნილი საკმაოდ ნათელია: წარმოაჩინოს, თითქოს უკრაინელების *უძრავლესობა* ცდილობს ომიდან გაქცევას. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში არ არის გამოყენებული სიტყვები ან ფორმულირებები, რომლებიც პირდაპირ შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის, ზიზღის ან შეუწყნარებლობის გამოვლენად, ეს მასალა მაინც, სიძულვილის ენის ხერხების გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია, რადგან ის მიზნად ისახავს აუდიტორიის აზრის ნეგატიურად ფორმირებას უკრაინისა და უკრაინელების მიმართ.

რაც შეეხება სენსიტიურ სიტყვათა კომბინაციებს, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ ხერხებზე, როგორიცაა სიტყვების ასოციაციური გამოყენება, რომლებიც გარკვეული ნიშნებით იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას ჯგუფის ან ინდივიდების მიმართ. მაგალითად: „სუსტი სქესი“ (ბევრ კულტურაში ქალების ასე მოხსენიება მიუღებელია, გარდა ამისა, ეს შემთხვევა ასევე გულისხმობს სტერეოტიპს), „ისლამისტი ტერორისტები“ (რეკომენდებულია, რომ ეს სიტყვები ერთად არ გამოიყენოთ, რათა არ ჩამოყალიბდეს ნეგატიური ასოციაცია), „ჩამორჩენილი ქვეყანა“ (თუ საჭიროა სახელმწიფოს დაბალი განვითარების დონის აღნიშვნა, უკეთესია გამოვიყენოთ ასეთი ფორმულირება: „ქვეყანა, რომელიც გარკვეული პარამეტრებით განვითარების უფრო დაბალ დონეზეა ვიდრე სხვები“), და ა.შ.

[43] Rusvesna.su, „Не хотим умирать. украинские мужчины массово бегут от мобилизации в Молдавию“, 2024, ხელმისაწვდომია: https://rusvesna.su/news/1721827448

მეტიც, რიგ მედიასაშუალებებში მიღებული პრაქტიკაა, რომ არ გამოიყენონ სიტყვა „ტერორისტული“ იმ ორგანიზაციების მიმართაც კი, რომლებიც ერთი შეხედვით აშკარად ტერორისტულ საქმიანობას ახორციელებენ. კონკრეტული ორგანიზაციის ტერორისტულად მოხსენიებისთვის საჭიროა ციტირება იმ ქვეყნების ან ორგანიზაციების, რომლებიც ოფიციალურად აღიარებენ ამ მოძრაობას ტერორისტულად. რეკომენდებულია შემდეგი ტიპის ფორმულირებების გამოყენება, მაგალითად: „ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელსაც აშშ და სხვა რამდენიმე ქვეყანა აღიარებს ტერორისტულ ორგანიზაციად“, ან „ირლანდიის ეროვნული განმათავისუფლებელი არმია“, რომელსაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს“ და ა.შ.

სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბებზე ასევე გავლენას ახდენს ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა განზოგადების ხერხების და სტერეოტიპების გამოყენების სიხშირე. ზოგჯერ არც იმდენად მნიშვნელოვანია, რას ამბობს ინდივიდი (ან ინდივიდები) *ჯგუფ A*-დან *ჯგუფ B*-ს შესახებ, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ის, რამდენად ფართოდ ხდება ამ შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი განცხადებების პროექცია და რამდენად ხშირად ხდება მათი გამეორება. რაც უფრო ხშირად იმეორებენ *ჯგუფ A*-ს წარმომადგენლები შეურაცხმყოფელ განცხადებებს *ჯგუფ B*-ს მიმართ, როცა მიმართავენ თავიანთ აუდიტორიას, მით მეტად ილექება ეს აუდიტორიის ცნობიერებაში და მეხსიერებაში, და შესაბამისად, ადრე თუ გვიან, ამ ჯგუფის ინდივიდების ნაწილს ეს მოსაზრებები შეიძლება ჭეშმარიტებად მოეჩვენოს.

დ) მუქარები

სიტყვები, ფრაზები და წინადადებები, რომლებიც გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და შეიცავს დაზიანებისკენ მოწოდებებს, ან დაზიანების მიყენების სურვილებსა და განზრახვებს კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფის ან ინდივიდებისთვის, გარკვეული ნიშნების მიხედვით - ასევე განეკუთვნება სიძულვილის ენის

გამოყენების ერთ-ერთ ფორმას. მსგავსი გამოხატვები, განზრახ ან უნებლიეთ, მიმართულია აუდიტორიაში სიძულვილის, შეუწყნარებლობისა და მიუღებლობის გაღვივებისკენ გარკვეული ჯგუფების, ინდივიდების, სახელმწიფოების და სხვათა მიმართ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუქარის შემცველი განცხადება, რომელიც 2014 წელს გააკეთა რუსმა ჟურნალისტმა დიმიტრი კისილიოვმა, როდესაც აშშ-ს „რადიოაქტიურ ნაცრად“[44] გადაქცევის სურვილის შესახებ ისაუბრა. მსგავსი რიტორიკა მედიასივრცეში - როგორც ბეჭდურ გამოცემებში ასევე, სატელევიზიო და რადიო ეთერში, არცთუ იშვიათად გვხვდება, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ის ცალკეული ჟურნალისტების „სუბიექტურ მოსაზრებებს“ გამოხატავს, რომელსაც ისინი თავიანთ საავტორო „სვეტებსა“ და რუბრიკებში აფიქსირებენ. მიუხედავად იმისა, ასახავს თუ არა მსგავსი განცხადებები რედაქციის საერთო პოზიციას, ისინი მაინც წარმოადგენს პროპაგანდის მაგალითს, რომელშიც სიძულვილის ენის ერთ-ერთი ფორმა გამოიყენება.

ე) სიძულვილის ენის შეფარული ფორმა

პროპაგანდისტული მედიასაშუალებები ხშირად იყენებენ სიძულვილის ენის „შეფარულ“ ფორმას სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, რათა თავიდან აიცილონ პირდაპირი შეურაცხმყოფელი განცხადებები. ერთი შეხედვით, პროფესიონალი პროპაგანდისტების მიერ შედგენილი ტექსტები შეიძლება არ შეიცავდეს აშკარა სიძულვილის ნიშნებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ისინი ქმნიან უარყოფით დამოკიდებულებას კონკრეტული ჯგუფის მიმართ სამიზნე აუდიტორიის ნაწილში.

ამ მიზნის მისაღწევად ხშირად გამოიყენება ისეთი ფორმულირებები, რომლებიც პირდაპირ შეურაცხმყოფელი არ არის, მაგრამ ატარებს ნეგატიურ კონოტაციას და შესაბამისად, აუდიტორიის აღ-

[44] Северю реалии, „Киселев снова пообещал превратить США в радиоактивный пепел“, 2024, ხელმისაწვდომია (რუსულ ენაზე): https://www.severreal.org/a/propagandist-kiselev-poobeschal-prevratit-ssha-v-radioaktivnyy-pepel-/32924940.html ,

ქმაზეც მოქმედებს. მაგალითად, ხშირად გამოიყენება სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მიანიშნებს ერთგვარ პირობითობაზე: „არ არის ცუდი“, „საკმაოდ ვარგისია“, „შედარებით (ასეთია)“ და სხვა. ასეთი გამონათქვამები თავისივე შინაარსით არ არის ნეგატიური, პირიქით, შესაძლოა დადებითიც ჩანდეს, მაგრამ ეს მაინც არის საშუალება თავი შეიკავო მაქსიმალურად პოზიტიური შეფასებისგან. ანუ ამგვარი ფორმებისა და გამონათქვამების გამოყენებით ავტორი მიანიშნებს, რომ კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი „ცუდი არ არის“, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო თავს იკავებს, რომ მათ „კარგები“ ან „ღირსეულები“ უწოდოს. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს სუბიექტური შეფასების და შეფარულად დამაკნინებელი ტონის გამოვლინებას.

ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის მიმღებებს შესაძლოა უჭირდეთ ასეთი მანიპულაციური ტექნიკის ამოცნობა. იმისათვის, რომ უფრო გასაგებად ჩანდეს თუ რასთან გვაქვს საქმე, რიგ მედიასაშუალებაში დამკვიდრებულია გარკვეული წესი, რომელიც ეხმარება შეფასებაში: *„სიძულვილის ენად მიიჩნევა ყველა ის გამონათქვამი, რომელსაც, თუკი ის გამოყენებული იქნება შენი საკუთარი ჯგუფის მიმართ (სხვადასხვა ნიშნით), შენ, როგორც ამ ჯგუფის წარმომადგენელი, აღიქვამ შეურაცხმყოფლად ან მტკივნეულად“.* აღნიშნული პირობითი წესი უნივერსალურია როგორც სიძულვილის ენის შეფარული ფორმების, ასევე მისი სხვა სახეებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებმა და მედიაკომპანიებმა უნდა გააცნობიერონ: დაუშვებელია სხვა ჯგუფების მიმართ ისეთი გამონათქვამების ან განზოგადებების გამოყენება, რის მიღებასაც თავად არ ისურვებდნენ საკუთარი ჯგუფის მიმართ.

2.2. სიძულვილის ენის პრევენცია მედიაში. სიძულვილის ენის გამოვლენა მედიამასალებში და მისი გამოყენების შემცირება

მთლიანობაში, სიძულვილის ენის გამოყენებასა და გავრცელებაზე ამა თუ იმ გარემოში, და შედეგად აუდიტორიაზე ნეგატიურ გავლენაზე, როგორც წესი, რამდენიმე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას:

ა) საზოგადოების დაბალი განათლებისა და ინფორმირებულობის დონე. რაც უფრო განათლებულია და ინფორმირებულია საზოგადოება, მით ნაკლებ გავლენას მოახდენს მასზე პროპაგანდისტული მედიის მასალები, რომლებიც სიძულვილის ენას შეიცავს.

ბ) ქვეყანაში თავისუფლების დაბალი დონე. რაც უფრო თავისუფალია ქვეყანა, მით უფრო კრიტიკულად უყურებენ მისი მოქალაქეები მედიაგარემოს. ასეთი ქვეყნების მოქალაქეებს უფრო ფართო წვდომა აქვთ სხვადასხვა ინფორმაციის წყაროზე, მათ არ აიძულებენ ერთიანი თვალსაზრისის მიღებას, მათი თავისუფლება და სიცოცხლე არ დგება საფრთხის ქვეშ სხვა შეხედულებების მიღებისა და გავრცელების შემთხვევაში. ასეთ საზოგადოებებში არ არის მიღებული და იშვიათია მიკერძოებული და ნეგატიური დამოკიდებულება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ეროვნული და რელიგიური საკითხები არ წარმოადგენს განმსაზღვრელ მარკერს, რის გამოც ინდივიდები, რომლებიც მედიაში მუშაობისას სიძულვილის ენას იყენებენ, ასეთ ქვეყნებში რთულად პოულობენ აღქმად აუდიტორიას. თავის მხრივ, თავისუფლების დაბალი დონე სრულიად საპირისპირო შედეგს იძლევა და ნოყიერი ნიადაგია პროპაგანდისა და სიძულვილის ენის გავრცელებისთვის.

გ) კონსოლიდირებული ემოციის არსებობა, რომელიც აერთიანებს ერს ან მის მნიშვნელოვან ნაწილის და რომელზეც კონკრეტული ჯგუფი შეიძლება სპეკულირებდეს საკუთარი მიზნებისთვის (პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა). თითქმის ყველა

ერს გააჩნია გარკვეული კონსოლიდირებადი კომპონენტი, რომელიც ისეთი მოვლენის ნაწილია, რასაც, როგორც წესი, „იდენტობას“ უწოდებენ. რაც უფრო მცირეა ერი რაოდენობრივად, მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული ასეთი კომპონენტები, რადგან ეს ხშირად წარმოადგენს საკუთარი თავის „დიდ სამყაროსთან“ დაპირისპირებასა და გლობალიზაციის პირობებში დაცვის და თვითშენარჩუნებას. ასეთ საზოგადოებებში გარკვეული კონსოლიდირებადი კომპონენტები ხშირად ტაბუდადებულია. ეს შეიძლება იყოს ისტორიული მოვლენები, გადატანილი ტრაგედიები, ხალხის ან ტერიტორიის სტატუსის ცვლილებისკენ სწრაფვა. ანუ მოვლენები ან მიმდინარე პროცესები, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფში ჩამოყალიბებულია ერთიან პარადიგმად, და რის კრიტიკაც, როგორც წესი, მიუღებელია. ამ პარადიგმაში ეჭვის შეტანა ან მისი გადახედვის მცდელობა საზოგადოების ნაწილისგან შეიძლება მტკივნეულად და აგრესიულად იყოს აღქმული. სწორედ ასეთი მოვლენები და პროცესები წარმოადგენს ხშირად სიძულვილის ენით გაჯერებული რიტორიკის საფუძველს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ რაც უფრო განათლებულია საზოგადოება, რაც უფრო ხელმისაწვდომია სხვადასხვა ინფორმაციის წყაროები და აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, მით უფრო ეფექტურად უპირისპირდება ის პროპაგანდას, დეზინფორმაციასა და სიძულვილის ენის გამოვლინებებს. შესაბამისად, არსებობს ქვეყნები, სადაც სიძულვილის ენის გამოყენების პრობლემა ნაკლებად არის გამოხატული, და ქვეყნები, სადაც ეს პრობლემა მწვავედ დგას. თუმცა არ არსებობს არცერთი ქვეყანა, სადაც ეს პრობლემა ამა თუ იმ ხარისხით საერთოდ არ არსებობდეს და რომელსაც შესაბამისი გამოწვევები არ გააჩნდეს.

ამიტომაც, ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია ძალისხმევის გამოჩენა პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გლობალურ პრობლემებთან ბრძოლის გარდა, სიძულვილის ენის წინააღმდეგაც. რაც უფრო მცირეა სიძულვილის ენის

გავრცელება, მით დაბალია სიძულვილის და მტრობის დონე. განსაკუთრებული როლი ამ პროცესში ეკისრებათ თავისუფალი მედიის ჟურნალისტებს, რომლებიც მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელებაზე ზრუნავენ და შესაბამისად, ყველაზე კრიტიკულად უნდა უდგებოდნენ აუდიტორიასთან მუშაობას, მათ შორის, სხვა მედიარესურსების მასალებში სიძულვილის ენის ნიშნების გამოვლენით.

სიძულვილის ენის ზემოხსენებული ნიშნები და ფორმები, ინსტრუმენტები და რეკომენდაციები **Hatespeech-checking**-ის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს დაგვეხმაროს არა მხოლოდ მასალებზე მუშაობის პროცესში, არამედ სხვისი ტექსტების ანალიზშიც. რიგი ქვეყნების მედია გარემოში **Hatespeech-checking** უკვე დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება ფაქტჩექინგის პარალელურად, რაც შესაძლებელს ხდის მასალების შეფასებას, მათი მიზნების ანალიზს და ამ მიზნების აუდიტორიისთვის განმარტებას, რაც თავის მხრივ ამცირებს სიძულვილის ენის მავნე ზემოქმედების რისკებს კონკრეტულ საზოგადოებებში. ეს ინსტრუმენტები ასევე სასარგებლოა რიგითი მომხმარებლებისთვისაც, რომლებიც ინფორმაციის წყაროების ხარისხის შეფასების და გარკვევის გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად.

მნიშვნელოვანი როლი მედია რესურსების მონიტორინგის პროცესში სიძულვილის ენის გამოვლენის მიმართულებით შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო სექტორს. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ სამოქალაქო აქტივისტებს შეუძლიათ აუდიტორიის ინფორმირებულობის ამაღლება, ასევე გავლენის მოხდენა მედია ორგანიზაციებზე, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ თავიანთი ნამდვილი მისია - სანდო და მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც არ არის მიმართული სიძულვილისა და მტრობის გაღვივებაზე. პროფილურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაეხმარონ მედიარესურსებს რედაქციების მუშაობის მექანიზმების გაუმჯობესებაში, ჩაატარონ თანამშრომლებისთვის ტრენინგები უნარების განვითარებისთვის, განახორციელონ პროდუქ-

ციის მონიტორინგი და მოახდინონ რეაგირება შეცდომებზე, დარღვევასა და ინციდენტებზე. ასევე, მათ შეუძლიათ გამოიყენონ მედიარესურსები კონკრეტული სიძულვილის ენის გამოვლინებებზე რეაგირებისთვის, მონაწილეობა მიიღონ აუდიტორიისთვის საინფორმაციო და განმარტებით კამპანიებში, შექმნან ქარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს განსაზღვრავენ და არეგულირებენ და ა.შ.

ასევე, შეიძლება გამოიკვეთოს სახელმწიფოს როლი სიძულვილის ენასთან ბრძოლის პროცესში. რა თქმა უნდა, მთავრობა არ უნდა ჩაერიოს ქვეყანაში რეგისტრირებული მედიაორგანიზაციების საქმიანობაში, მაგრამ მას შეუძლია მოახდინოს რეაგირება ჟურნალისტური ეთიკის აშკარა დარღვევებზე და სიძულვილის ენის გამოვლინებებზე მედია მასალებში, და სამართლებრივად შეაფასოს ასეთი ქმედებები სასამართლოს ან სხვა შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე. სასურველია, რომ მედიასა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გარკვეული მედიატორის როლი შეასრულონ პროფილურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მათ შეუძლიათ ამ პროცესში თავის თავზე აიღონ გამჭვირვალობის, წესების და კანონების უზრუნველყოფის გარანტორების როლი დავებისა და მედიის საქმიანობის გამოძიების შემთხვევებში.

თავი III
სიძულვილის ენა, ფსიქოსოციალური ფაქტორები და პრაქტიკული გამოცდილება

3.1. ფსიქოსოციალური ფაქტორები

გავლენა საზოგადოებაზე და თემზე: სიძულვილის ენა საზოგადოებისა და თემის დონეზე ახდენს გავლენას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ურთიერთობაზე, ხელს უწყობს უმცირესობების მარგინალიზაციას, ზრდის საზოგადოებრივ სტიგმასა და სოციალურ იზოლაციას. აღნიშნული პროცესები, საბოლოო ჯამში, აძლიერებს სოციალურ დაძაბულობას და ხელს უწყობს პოლარიზაციის გაღრმავებას საჯარო დისკურსში.[45]

სიძულვილის ენა ვრცელდება, როგორც ციფრულ ასევე ფიზიკურ სივრცეში, თუმცა განსხვავებული თავისებურებებით. ციფრულ სივრცეში სიძულვილის ენა უფრო სწრაფად ვრცელდება, უფრო ფართო აუდიტორიასაც მოიცავს მოკლე დროში და შესაძლოა ანონიმურიც იყოს. ფიზიკურ/პირისპირ სივრცეში მისი გავრცელების მასშტაბი უფრო შეზღუდულია თუმცა გავლენა მეტად უშუალო და პირდაპირია, რაც არანაკლებ დამაზიანებელი შეიძლება იყოს.[46]

სიძულვილის ენის შემცველმა გამონათქვამებმა ფიზიკურ გარემოში, მიუხედავად მათი შეზღუდული გავრცელებისა, შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს ინდივიდებსა და თემზე. მაგალითად, კვლევები[47] აჩვენებს, როგორ შეუძლია ისლამოფობიურ, სიძულვილის ენის შემ-

---

[45] Bilewicz, M. and Soral, W. (2020). Hate speech epidemic. the dynamic effects of derogatory language on intergroup relations and political radicalization. Political Psychology, 41(S1), 3-33.

[46] Pettersson, K. (2019). „freedom of speech requires actions: exploring the discourse of politicians convicted of hate-speech against muslims“, European Journal of Social Psychology, 49(5), 938-952.

[47] Obermaier, M., Schmuck, D., & Saleem, M. (2021). „I'll be there for you? effects of islamophobic online hate speech and counter speech on muslim in-group bystanders' intention to intervene“, New Media &Amp; Society, 25(9), 2339-2358.

ცველ გამონათქვამებს შეცვალოს შემთხვევითი გამვლელების ჩარევის მოტივაცია. აღნიშნული კვლევა ხაზს უსვამს იმ სოციალურ დინამიკას, რომელიც რეალურ, ფიზიკურ სივრცეში ვითარდება ონლაინ სივრცისაგან განსხვავებით. ეს განსხვავება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს ინდივიდუალურ და მულტიდისციპლინურ მიდგომებს ორივე სივრცეში, რადგან სტრატეგიებმა, რომლებიც ეფექტურია ერთ კონტექსტში, შესაძლოა სხვაგან არ იმუშაოს.

სიძულვილის ენის გავლენა მსხვერპლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

სიძულვილის ენის გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსხვერპლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე; მათ შორის გამოიწვიოს ისეთი შედეგები, როგორიცაა შფოთვა და დეპრესია, თვითშეფასების დაქვეითება და უმწეობის განცდა. მსხვერპლის ბიოფსიქოსოციალური საჭიროებები მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და უსაფრთხოების/დაცულობის განცდის გაძლიერებას[48].

- ტრავმა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD):

კვლევები აჩვენებს, რომ სიძულვილის ენის მსხვერპლებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებიან აგრესიული გამონათქვამების, სიძულვილის ენის ზეგავლენის ქვეშ, შეიძლება განუვითარდეთ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები (PTSD). მაგალითად, გახანგრძლივებული კიბერბულინგის პირობებში მოზარდებს შეიძლება გამოუვლინდეთ ე.წ. „ფლეშბექები“, ღამის კოშმარები და ზესიფხიზლე. აღნიშნული სიმპტომები დამახასიათებელია მათთვის, ვინც ფიზიკური ძალადობა ან სხვა ტრავმული მოვლენები გადაიტანეს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სიძულვილის ენის მნიშვნელოვან გავლენას ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

[48] Thuku, J. (2022). „Hate speech legislation and freedom of expression: finding the balance“, ISSLP, 1(2), 26-33. https://doi.org/10.61838/kman.isslp.1.2.5.

სტიგმისა და ინტერნალიზებული ჩაგვრის გავლენა:

მუდმივი შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია იწვევს ინდივიდებში ნეგატიური რწმენა-წარმოდგენების ინტერნალიზაციას. მაგალითად, ლგბტქი+ თემის წევრებს, რომლებიც ექვემდებარებიან ჰომოფობიურ გამონათქვამებს, ხშირად უყალიბდებათ თვითშეფასების სირთულეები და აღენიშნებათ მაღალი შფოთვა. აღნიშნული სირთულეები მუდმივი სოციალური ზეწოლითა და საზოგადოების მიერ თავსმოხვეული არასრულფასოვნების განცდით, რაც თავის მხრივ შეიძლება აუარესებდეს მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობას.

სიძულვილის ენის გამომწვევი ფსიქოსოციალური ფაქტორები

სიძულვილის ენის არსის უკეთესად გასაგებად მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობის ცოდნა, ვინც მას იყენებს. სიძულვილის ენის გამოყენების გამომწვევი ფაქტორები შესაძლოა იყოს უცხოსა და განსხვავებულის მიმართ "შიშის, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის ნაკლებობა, ასევე, მანიპულაციური და დომინანტური ქცევის გამოვლენა. სიძულვილის ენის გამოყენების განმაპირობებელი ფაქტორების და მოტივების გაცნობიერება დამხმარეა აგრესიული და ძალადობრივი ქცევის გამოვლენის შემცირების უფრო ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებისთვის.

- წინასწარგანწყობა და აგრესიის გამოვლენა

კვლევების თანახმად სიძულვილის ენის გამოყენებას სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს. ერთ-ერთი თეორია, რომელიც ამ მოვლენას ხსნის, არის ფრუსტრაციისაა და აგრესიის თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით, როდესაც ინდივიდი განიცდის მარცხს ან ფრუსტრაციას, მან შეიძლება თავისი აგრესია გადაიტანოს უფრო მოწყვლად ჯგუფებზე, და სიძულვილის ენა გამოიყენოს, როგორც ძალაუფლების გამოვლენის ან კონტროლის განცდის საშუალება. ემ-

პირიული კვლევები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური სირთულეები ხშირად იწვევს ქსენოფობიური და რასისტული განწყობების ზრდას.[49]

- უცხოსადმი მტრული დამოკიდებულების თეორია

ამ თეორიის თანახმად ადამიანები მიდრეკილი არიან სამყაროს დაყოფისკენ "ჩვენიანებად" და "უცხოებად" (ჯგუფის წევრებად და აუტსაიდერებად)). სიძულვილის ენის გამოყენება მიზნად ისახავს განსხვავებულობის გამოკვეთას და "ჩვენიანების" დაცვას "უცხოს" შესაძლო საფრთხისგან. მაგალითად, ისლამოფობიური განწყობების გაძლიერება ტერორისტული აქტების შემდეგ, როცა ცრურწმენები და შიში კონკრეტული ჯგუფების მიმართ იზრდება[50].

სიძულვილის ენის გავლენა მოწმეზე

სიძულვილის ენის მოწმეებს შესაძლოა სხვადასხვა ემოციები და გრძნობები ჰქონდეთ, მათ შორის, დანაშაულის განცდა, შიში ან აპათია. ისეთი ფენომენი, როგორიცაა "მოწმის ეფექტი" ხსნის, რატომ არ ერევიან ან არ რეაგირებენ ადამიანები აგრესიულ ქცევაზე, მაშინაც კი, როცა ამას უშუალოდ ხედავენ[51].

მოწმის ეფექტი (ჯენოვეზეს სინდრომი):

აღნიშნული ეფექტი ხსნის აგრესიული ქცევის მოწმეების მიდრეკილებას პასიურობისკენ. ამის ნათელი მაგალითია 1964 წელს ნიუ-იორკში მომხდარი კიტი ჯენოვეზეს მკვლელობა, როდესაც მრავალ-

---

[49] Boeckmann, R. J. and Liew, J. (2002). Hate speech: asian american students' justice judgments and psychological responses. Journal of Social Issues, 58(2), 363-381. https://doi.org/10.1111/1540-4560.00265

[50] Peffley, M., Yair, O., & Hutchison, M. (2023). Left-right social identity and the polarization of political tolerance. Political Research Quarterly, 77(1), 30-44. https://doi.org/10.1177/10659129231189759 https://www.researchgate.net/publication/372544819

[51] Jeyagobi, S., Munusamy, S., Kamaluddin, M. R., Badayai, A. R. A., & Kumar, J. (2022). Factors influencing negative cyber-bystander behavior: a systematic literature review. Frontiers in Public Health, 10. https://doi.org/10.3389/fpubh.2022.965017

მა თვითმხილველმა ვერ გაბედა დახმარება. კვლევები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დიდია მოწმეების რაოდენობა, მით უფრო მცირდება დახმარების გაწევის ალბათობა, რაც პასუხისმგებლობის დიფუზიით იხსნება.

დესენსიტიზაცია ძალადობის მიმართ:

ინდივიდები, რომლებიც სისტემატურად აწყდებიან სიძულვილის ენის გამოვლინებას, დროთა განმავლობაში შეიძლება ნაკლებად მგრძნობიარეები გახდნენ მის მიმართ. მაგალითად, მოზარდები, რომლებიც ხშირად განიცდიან კიბერბულინგს სოციალურ მედიაში, შეიძლება დაიწყონ მისი ნორმალიზება და ნაკლებად გამოავლინონ ჩარევის მზაობა იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი სიტუაციის მოწმეები გახდებიან.

სიძულვილის ენა ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მსხვერპლზე, არამედ დამნაშავეებსა და მოწმეებზეც, ხოლო ფსიქოლოგიური თეორიები და კვლევები გვეხმარება ამ მოვლენის უკეთ გაგებაში.

3.2. ფსიქოლოგიური თეორიები და სიძულვილის ენა

განწყობის თეორია (დიმიტრი უზნაძე)

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია იკვლევს, როგორ ფორმირდება და ძლიერდება ემოციური განწყობები და რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანის ქცევასა და აღქმაზე. უზნაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს ფიქსირებული ემოციური განწყობები სოციალური სიტუაციების ა აღქმასა და ინტერპრეტაციას ადამიანების მიერ. განწყობის ფორმირების მექანიზმების ცოდნა შეიძლება გახდეს ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლისა და სიძულვილის ენის პრევენციის ეფექტური სტრატეგიების განვითარების საფუძველი. მაგალითად, ემოციური ფონის შეცვლამ, შეიძლება შეამციროს აგრესია, წინასწარგანწყობები, გაზარდოს ემ-

პათია და ურთიერთგაგება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის. შესაბამისად, განწყობის თეორია გვთავაზობს სასარგებლო ინსტრუმენტებს იმ ინტერვენციების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ნეგატიური ემოციების შემცირებას და პიროვნებათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია (მორტონ დოიჩი)

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, რომელიც მორტონ დოიჩმა შეიმუშავა, პოზიტიური შედეგის მიღწევის და კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობაზე. ამ თეორიის მიხედვით, ჯგუფებს შორის სოციალური ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ხელს უწყობს მიკერძოების/წინასწარგანწყობების შემცირებას და ინკლუზიური და ტოლერანტული საზოგადოების ფორმირებას. დოიჩი ამტკიცებს, რომ როდესაც ჯგუფები აცნობიერებენ თავის ურთიერთდამოკიდებულებას და თანამშრომლობენ საერთო მიზნების მისაღწევად, ეს ამცირებს კონფლიქტებს და აძლიერებს ჯგუფთაშორის ურთიერთობებს. სიძულვილის ენის კონტექსტში, პოზიტიური ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის პირობების შექმნა შეიძლება ხელს უწყობდეს სტერეოტიპების და დისკრიმინაციის შემცირებას და აუმჯობესებდეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის კონსტრუქციულ და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას.

ზემოთ აღნიშნული ორივე თეორიული კონცეფცია მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს გვთავაზობს სიძულვილის ენის მიზეზების გაანალიზების, პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების შესამუშავებლად. განწყობის თეორია გვეხმარება გავიგოთ, როგორია ემოციური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას/წინასწარგანწყობებს, ხოლო სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია გვაჩვენებს თანამშრომლობისა და ურთი-

ერთგაგების მნიშვნელობას უფრო ინკლუზიური და ტოლერანტული სოციალური გარემოს შესაქმნელად.

ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია

ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, სოციალური ქცევის ფორმირების პროცესი ხდება სხვების ქცევაზე დაკვირვებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქცევას ახლავს ჯილდო. ბანდურა ამტკიცებს, რომ ინდივიდები საკუთარ ქცევას აყალიბებენ არა მხოლოდ პირადი გამოცდილების საფუძველზე, არამედ მნიშვნელოვანი როლური მოდელების - მშობლების, თანატოლების ან მედიაში წარმოდგენილი პერსონაჟების ქცევაზე დაკვირვებითაც. სიძულვილის ენის კონტექსტში, თუ ასეთი ქცევა მისაღებია გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში ან არ ექვემდებარება კრიტიკას, ის შეიძლება აღიქმებოდეს ნორმად. მაგალითად, რადიკალურ ინტერნეტ-ჯგუფებში, სადაც აგრესიული გამონათქვამები და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მხარდაჭერილი, წახალისებული და ფართოდ გავრცელებულია, მონაწილეებმა შეიძლება მიბაძონ ავტორიტეტულ ლიდერებს ან გავლენიან ფიგურებს და აგრესიული კომუნიკაციის მსგავსი ფორმები მათთვისაც მისაღები გახდეს. სოციალური დასწავლის თეორია გვაჩვენებს, როგორ ვრცელდება და მყარდება სიძულვილის ენის გამოყენება შესაბამის სოციალურ ჯგუფებში, განსაკუთრებით დაკვირვებისა და დასწავლის მექანიზმების მეშვეობით.

კოგნიტიური დისონანსის თეორია

კოგნიტიური დისონანსის თეორია, რომელიც ლეონ ფესტინგერმა შეიმუშავა, აღწერს შინაგანი კონფლიქტის მდგომარეობას, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდის ქცევა ეწინააღმდეგება მის ღირებულებათა სისტემას. სიძულვილის ენის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კოგნიტიური დისონანსი, თუ ასეთი ქცევა შეუსაბამოა ადამიანის ღირებულებათა სისტემასთან ან მორალურ

სტანდარტებთან. დისონანსის შესამცირებლად, ინდივიდმა შეიძლება მიმართოს რაციონალიზაციის მექანიზმებს, როგორიცაა - საკუთარი შეხედულებების შეცვლა ან საკუთარი ქმედებების გამართლება. მაგალითად, ინდივიდი შეიძლება თავისი ნეგატიური ქმედებების გასამართლებლად, აცხადებდეს, რომ მათი გამოყენება აუცილებელია გარკვეული მიზნების მისაღწევად ან იდეოლოგიური პოზიციების დასაცავად. კოგნიტიური დისონანსის თეორია გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ამართლებენ ინდივიდები სიძულვილის ენის გამოყენებას და როგორ იცავენ თავიანთი ქმედებების თანმიმდევრულობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგება მათ მორალურ ნორმებს.

3.3. სიძულვილის ენის პრევენცია და მასზე რეაგირება. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად ხორციელდება სიძულვილის ენის პრევენციისა და მასზე რეაგირების ღონისძიებები. ეს ღონისძიებები მოიცავს, როგორც სახელმწიფო ინიციატივებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების პროექტებს. სტრატეგიები განსხვავდება ქვეყნების სამართლებრივი, კულტურული და სოციალური თავისებურებების მიხედვით, თუმცა ყველა მათგანი მიზნად ისახავს უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნას ყველა მოქალაქისთვის.

სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული შემთხვევების ზრდის ფონზე, განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში, მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროება. სხვადასხვა ქვეყანა ქმნის უნიკალურ მიდგომებს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად; მათი გამოცდილების შესწავლა კი ხელს უწყობს უფრო ეფექტიანი პრაქტიკის დანერგვას გლობალურ დონეზე.

მულტიდისციპლინური მიდგომა

სიძულვილის ენასთან ეფექტური ბრძოლა მოითხოვს სხვადასხვა აქტორის, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ტექნოლოგიური კომპანიების, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მულტიდისციპლინური თანამშრომლობასა და ჩართულობას. ამგვარი თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო ინიციატივების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც სიძულვილის ენის მიზეზების, ასევე მისი შედეგების აღმოფხვრას.[52]

მაგალითად, სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ მიიღონ კანონები, რომლებიც დააწესებს პასუხისმგებლობას სიძულვილის პროპაგანდისთვის/წახალისებისთვის, როგორც ციფრულ ასევე პირისპირ/ფიზიკურ სივრცეში და დაავალდებულონ სოციალური ქსელები წაშალონ მსგავსი შინაარსის კონტენტი. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ განახორციელონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ასწავლონ მოქალაქეებს როგორ უპასუხონ სიძულვილის შემცველ გამონათქვამებს და როგორ დაუჭირონ მხარი დაზარალებულებს. ტექნოლოგიურ კომპანიებს კი შეუძლიათ განავითარონ ალგორითმები სიძულვილის ენის რეალურ დროში აღმოჩენისა და დაბლოკვის მიზნით, ასევე ითანამშრომლონ ხელოვნური ინტელექტის კვლევითი სფეროს წარმომადგენლებთან.

მულტიდისციპლინური მიდგომა უზრუნველყოფს უფრო მდგრადი და ეფექტიანი პრევენციული სტრატეგიების შექმნას, რომლებიც სიძულვილის ენის პრობლემის ყველა დონეს მოიცავს. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ თავიანთ სასწავლო პროგრამებში ჩართონ მედია წიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების მოდულები, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება ამოიცნონ

[52] Mchangama, A., & Alkiviadou, N. (2021). „Hate Speech and the European Court of Human Rights: Whatever Happened to the Right to Offend, Shock or Disturb?“ *Human Rights Law Review*, 21(3), 1-25. doi:10.1093/hrlr/ngab015.

და შეეწინააღმდეგონ სიძულვილის შემცველ კონტენტს.[53] აკადემიურ საზოგადოებას შეუძლია ჩაატაროს დამატებითი კვლევები იმის დასადგენად, თუ რომელი მიდგომებია ყველაზე ეფექტური წინააღმდეგობისა და დისკრიმინაციის დონის შესამცირებლად სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

თანამშრომლობა, რომელიც სინერგიისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზეა აგებული, ხელს უწყობს არა მხოლოდ სიძულვილის ენის შემთხვევების პრევენციის ეფექტიანობას, არამედ საზოგადოებაში პატივისცემისა და ტოლერანტობის კულტურის განმტკიცებას. მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა ჩართულ მხარეებს საშუალებას აძლევს სტრატეგიები ადგილობრივ კონტექსტს მოარგონ.

3.4. საუკეთესო პრაქტიკა და წარმატებული ინტერვენციის მაგალითები

წარმატებული ინტერვენცია: სიძულვილის ენის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით მრავალი წარმატებული მიდგომის მაგალითი არსებობს. ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია პროგრამა „STOP Hate UK“, რომელიც სიძულვილის ენის მსხვერპლებს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სთავაზობს, ასევე, თანამშრომლობს პოლიციასა და სხვა ორგანიზაციებთან სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების პრევენციის მიზნით. კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური მუშაკების, სამართალდამცავების, პედაგოგებისა და იურისტების თანამშრომლობითი, მულტიდისციპლინური მიდგომები ამცირებს ინციდენტების რაოდენობას და ზრდის დაზარალებულების ნდობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.[54]

---

[53] Pfetsch, B. (2023). „How to Reduce Online Hate Speech Among Adolescents? A Pilot Study on the Effects of a Teaching Unit on Social Norms, Self-efficacy and Knowledge About Hate Speech“, *International Journal of Developmental Science*, 17(1), 1-15. doi:10.3233/dev-230346.

[54] Walters, M. A., Brown, R., & Wiedlitzka, S. (2017). *Preventing Hate Crime: Emerging Practices and Evidence Base*. University of Sussex.

მსხვერპლის მხარდაჭერა: წარმატებული დახმარების მაგალითებია პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს მსხვერპლთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას. მაგალითად, კანადაში პროგრამამ „Respect in Schools“ დაამტკიცა თავისი ეფექტურობა საგანმანათლებლო სივრცეში მიკერძოებისა და სიძულვილის დონის შემცირების კუთხით, მოსწავლეებსა და მასწავლებლებისთვის კონსტრუქციული კომუნიკაციისა და კონფლიქტის გადაჭრის უნარების მიწოდებით.[55] პროგრამებმა, რომლებიც კოგნიტიურ-ქცევით თერაპიასა და მედეგობის გაძლიერების მეთოდებს მოიცავს, ასევე აჩვენა დადებითი შედეგები სიძულვილის ენის მსხვერპლთა შორის შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომების შემცირების მხრივ.[56]

სისტემური ცვლილებები: სხვადასხვა ორგანიზაციაში, როგორიცაა სკოლა, ფსიქოსოციალური დახმარების ცენტრები, ტრავმა-ინფორმირებული მიდგომების დანერგვამ ხელი შეუწყო უფრო ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს შექმნას. მაგალითად, ავსტრალიაში ინიციატივამ „Blue Knot Foundation“ შეიმუშავა სისტემური ცვლილებები ტრავმული მოვლენების მსხვერპლთა დასახმარებლად, რაც მოიცავს სპეციალიზებული მხარდამჭერი პროგრამების შექმნას და სპეციალისტებისთვის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების გაუმჯობესებას.

სიძულვილის ენის გამოვლენის პრევენციის ეფექტური სტრატეგიები მოიცავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მულტიდისციპლინურ თანამშრომლობას და ფსიქოლოგიური დახმარებისა და სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის გზით მსხვერპლთათვის კომპლექსურ მხარდაჭერას. სისტემური ცვლილებები, მათ შორის, ტრავმა-ინფორ-

---

[55] Craig, W., & Pepler, D. (2014). Promoting Respect in Schools: Key Strategies and Effective Interventions. *Journal of School Violence, 13*(1), 65-83.

[56] Walters, M. A., Brown, R., & Wiedlitzka, S. (2017). *Preventing Hate Crime: Emerging Practices and Evidence Base*. University of Sussex.

მირებული მიდგომების დანერგვა, აჩვენებს მაღალ ეფექტურობას ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში.

საგანმანათლებლო ინიციატივები: საგანმანათლებლო პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიძულვილის ენის, მისი შედეგებისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში. ეს პროგრამები მიმართულია, როგორც მოსწავლეებზე, ისე უფრო ფართო აუდიტორიაზე და მოიცავს კურსებს, ტრენინგებს და სხვადასხვა დამხარე მასალებს მასწავლებლებისთვის.[57]

ბევრ სკოლაში დანერგილია სავალდებულო კურსები და მოდულები, რომლებიც მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების, კულტურათაშორისო დიალოგისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის უნარების განვითარებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს პროგრამა „Educate Against Hate," რომელიც მასწავლებლებს აწვდის რესურსებსა და რეკომენდაციებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ ექსტრემისტული იდეებისა და სიძულვილის შემცველი კონტენტის ამოცნობა და მათზე რეაგირება. გერმანიის სკოლებში ტარდება გაკვეთილები, სადაც განიხილავენ სიძულვილის ენის მაგალითებს, ფორმებს, შედეგებს და რეაგირების სტრატეგიებს, რათა სტუდენტებმა შეძლონ უსაფრთხო ქცევის უნარების გამომუშავება როგორც ინტერნეტში, ასევე, რეალურ ცხოვრებაში.[58]

მედიაწიგნიერების პროგრამები ასწავლის ყველა ასაკის ადამიანს, კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია, რომელსაც ისინი ინტერნეტში აწყდებიან. მაგალითად, იუნესკო ახორციელებს გლობალური მედიაწიგნიერების პროგრამას, რომლის მიზანია კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და სიძულვილის ენის რისკების შესახ-

---

[57] Pfetsch, B. (2023), „How to Reduce Online Hate Speech Among Adolescents? A Pilot Study on the Effects of a Teaching Unit on Social Norms, Self-efficacy and Knowledge About Hate Speech", *International Journal of Developmental Science*, 17(1), 1-15. doi:10.3233/dev-230346.

[58] UK Government. (n.d.). *Educate Against Hate*.
Retrieved from https://educateagainsthate.com.

ებ ცნობიერების ამაღლება. ამ პროგრამის ფარგლებში ტარდება მასწავლებელთა ტრენინგები, მზადდება სასწავლო მასალები და მედიაკონტენტის ანალიზის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სკოლებსა და უნივერსიტეტებში მსოფლიოს მასშტაბით.[59]

საგანმანათლებლო ინიციატივები ასევე მოიცავს ადგილობრივ სემინარებს, რომლებიც გათვლილია კონკრეტულ ჯგუფებზე, მაგალითად, იმიგრანტებსა და ეთნიკურ უმცირესობებზე. ავსტრალიაში, მაგალითად, ტარდება პროგრამები ახალი მიგრანტებისთვის, რათა დაეხმარონ მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაში და ასწავლონ სიძულვილის ენის გამოვლინებებზე რეაგირება. ეს პროგრამები მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო სემინარებს, ასევე ღონისძიებებს სხვადასხვა ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.[60]

ევროპის საბჭო, „სიძულვილის წინააღმდეგ მოძრაობის“ კამპანიის ფარგლებში, ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივებს, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, ტრენინგების ჩატარებას და ფართომასშტაბიანი კამპანიების ორგანიზებას. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს სიძულვილის ენის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ტოლერანტობის კულტურის განვითარებას.[61]

სათემო პროგრამები: ადგილობრივი ინიციატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობს ჯგუფებს შორის ურთიერთობების გაძლიერებას, ურთიერთგაგებასა და პატივისცემის განვითარებას.

- კონფესიათაშორის დიალოგები: ეს პროგრამები ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიური თემის წარმომადგენლებს შორის ურთი-

---

[59] UNESCO. (n.d.). *Media and Information Literacy: Policy and Strategy Guidelines*. Retrieved from https://www.unesco.org

[60] Australian Government, Department of Home Affairs. (2021). *Community Integration Programs for Migrants*. Retrieved from https://www.homeaffairs.gov.au

[61] council of Europe. (n.d.). *No Hate Speech Movement*. Council of Europe. Available at https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign.

ერთგაგებასა და თანამშრომლობას. ისინი მიზნად ისახავს სოციალური დაძაბულობის შემცირებას და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

- პროგრამები ახალგაზრდებისთვის: ახალგაზრდების ჩართვა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ახალგაზრდული პროგრამები აქცენტს აკეთებს კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და პოზიტიური ქცევის ჩამოყალიბებაზე, როგორც ციფრულ, ასევე რეალურ სივრცეში. ეს პროგრამები ხელს უწყობს ახალგაზრდების სიძულვილის ენის შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და პრევენციის მეთოდების დასწავლას.

გერმანიის და ახალი ზელანდიის მაგალითები:

- 2017 წელს გერმანიაში მიიღეს „ქსელის დაცვის კანონი“ (NetzDG), რომელიც ავალდებულებს სოციალურ ქსელებს დადგენილ ვადაში წაშალონ უკანონო კონტენტი. ამ კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა სიძულვილის ენის გამოვლენის შემთხვევები ინტერნეტში, შექმნა უფრო უსაფრთხო ციფრული სივრცე მომხმარებლებისთვის.[62]

- 2019 წელს, ქრაისტჩერჩის მეჩეთში სროლის შემდეგ, ახალ ზელანდიაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში კომპლექსური მიდგომა შემუშავდა. ქვეყანაში შეიცვალა შიდა პოლიტიკა, დაინერგა ახალი ინიციატივები სათემო ჯგუფების მხარდასაჭერად, რამაც ხელი შეუწყო სოციალური ერთიანობის განმტკიცებასა და სიძულვილის გამოვლინებების მიმართ ეფექტურ წინააღმდეგობას.[63]

---

[62] Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz (BMJV). (2017). *Network Enforcement Act (NetzDG)*. German Federal Ministry of Justice and Consumer Protection. Available at https://www.bmjv.de/EN/Home/home_node.html

[63] New Zealand Human Rights Commission. (2020). *New Zealand's Approach to Hate Speech*. New Zealand Human Rights Commission. Available at https://www.hrc.co.nz/

3.5. სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების როლი სიძულვილის ენის პრევენციასა და დაზარალებულთა დახმარებაში

მულტიდისციპლინური მიდგომა:

თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც სიძულვილის ენა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ინდივიდების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯან-მრთელობაზე, სიძულვილის ენის პრევენციასა და მისი შედეგების შემსუბუქებაში გადამწყვეტ როლს სოციალური მუშაკები, ფსიქო-ლოგები და სხვა დამხმარე სპეციალისტები ასრულებენ. სიძულვილ-ის ენის ეფექტური პრევენცია და ინტერვენცია მოითხოვს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების - სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგი-ის, სამართლის, განათლების, მედიისა და საინფორმაციო ტექნო-ლოგიების - აქტიურ და კოორდინირებულ თანამშრომლობას.

სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობა იძლევა შესაძლებლობას შე-იქმნას კომპლექსური და მრავალდონიანი სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია, როგორც სიძულვილის ენის გამოვლინების პრევენცი-აზე, ასევე დაზარალებულთა მხარდაჭერაზე. პროფესიონალთა საქ-მიანობა უნდა ემყარებოდეს ისეთ ძირითად ღირებულებებს, როგორიცაა ემპათია, პატივისცემა და უპირობო მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს დაზარალებულებთან ნდობის დამყარებას.[64]

სოციალური მუშაკები:

სოციალური მუშაობის სფეროს სპეციალისტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, როგორც სიძულვილის ენის პრევენციის, ასევე ინტერვენციის მიმართულებით. სოციალური მუშაკები მუშაობენ სიძულვილის ენის მსხვერპლთა და სოციალურ იზოლაციაში მყოფ

[64] Boulton, A. (2022). *Building trust and support in trauma-informed care*. Trauma and Recovery Review, 15(4), 22-40.

პირთა დასახმარებლად. ისინი ახორციელებენ მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე, უწყობენ ხელს დაზარალებულთა ინტეგრაციას, ეხმარებიან მათ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და სთავაზობენ რეაბილიტაციის პროგრამებს, თუ სიძულვილის ენა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობასაც მოიცავდა. სოციალური მუშაკების საქმიანობაში შედის ასევე, ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, უსაფრთხო სივრცეების შექმნას და ადგილობრივი თემის აქტიურ ჩართულობას სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, ეს საქმიანობა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, მხარდამჭერი ჯგუფების ორგანიზებას და ინკლუზიური თემის ფორმირებას.[65] თემის ჩართულობა გულისხმობს ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას.

ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები:

ფსიქოლოგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად დაზარალებულთათვის დახმარების გაწევაში, იყენებენ რა სპეციალიზებულ ცოდნასა და მეთოდებს დისკრიმინაციითა და ძალადობით გამოწვეული ტრავმების დასაძლევად. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თერაპიას, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის აღდგენისა და სტრესის მიმართ მედეგობის პროგრამების შემუშავებას, ასევე დაზარალებულთა თავდაჯერებულობისა და სოციალური ჩართულობის გაძლიერებას.[66]

ფსიქოლოგები იყენებენ კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თერაპიულ მუშაობას და ფსიქო-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ისინი ავითარებენ პროგრამებს ფსიქოლოგიური ჯან-

[65] Smith, R., & Brown, T. (2018). *Community-Based Interventions for Hate Speech Victims*. Social Work Review, 30(4), 210-225.
[66] Johnson, L., & Davis, M. (2017). *Psychological Approaches to Trauma from Hate Speech*. Clinical Psychology Journal, 32(1), 56-72.

მრთელობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად და ასწავლიან სხვა პროფესიონალებს (სოციალურ მუშაკებს, პედაგოგებს) ფსიქოლოგიური ტრავმის ნიშნების ამოცნობასა და პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის საბაზისო უნარებს. ეს ხელს უწყობს ეფექტური მულტიდისციპლინური ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომლებიც დროულად რეაგირებენ სიძულვილის გამოვლინებებსა და მათ შედეგებზე.

იურისტები და უფლებადამცველები:

იურისტები და უფლებადამცველები კონსულტაციას უწევენ სიძულვილის ენის მსხვერპლებს, ეხმარებიან მტკიცებულებების შეგროვებასა და მათი ინტერესების სასამართლოში დაცვაში. იურისტები ასევე თანამშრომლობენ ტექნოლოგიურ კომპანიებთან ონლაინ კონტენტის მოდერაციის სტანდარტების შემუშავებისთვის და სახელმწიფო ინსტიტუტებთან - კანონმდებლობის შესაქმნელად, რომელიც დაიცავს, როგორც გამოხატვის თავისუფლებას, ასევე ადამიანის უფლებებს და თავიდან აირიდებს სიძულვილის ენის ბოროტად გამოყენებას.

დამატებით, ისინი ატარებენ საგანმანათლებლო სემინარებს მოქალაქეთათვის, განუმარტავენ მათ უფლებებს და სამართლებრივ შესაძლებლობებს დისკრიმინაციისა და სიძულვილისგან თავის დასაცავად.[67]

განათლების სპეციალისტები და პედაგოგები:

პედაგოგებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნაში, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად, მხარდაჭერისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში განიხილონ ისეთი რთული საკითხები - როგორიცაა დის-

[67] Green, H., & Taylor, S. (2015). *Human Rights and Hate Speech Legislation*. International Journal of Human Rights, 19(1), 88-105.

კრიმინაცია და სიძულვილი.[68] ისინი სწავლის პროცესში და არა-საკლასო აქტივობებში განიხილავენ თემებს ტოლერანტობის, მრავალფეროვნებისა და კრიტიკული აზროვნების შესახებ.

მულტიდისციპლინური თანამშრომლობა:

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს სპეციალისტთა მჭიდრო თანამშრომლობას. მაგალითად, ფსიქოლოგები და იურისტები ერთად ავითარებენ მიდგომებს, რომლებიც ერთდროულად მოიცავს, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სამართლებრივ ასპექტებს. სოციალური მუშაკები პედაგოგებთან ერთად მუშაობენ ბავშვების და მოზარდების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან დისკრიმინაციის ან აგრესიის გამო, და მათ შესაბამის დახმარებას უწევენ. სპეციალისტების კოორდინირებული ძალისხმევა არა მხოლოდ კონკრეტულ ინციდენტებზე უზრუნველყოფს ეფექტურ რეაგირებას, არამედ ქმნის გრძელვადიან სტრატეგიებსაც ინკლუზიური და უსაფრთხო საზოგადოების შესაქმნელად.[69]

ტრავმა-ინფორმირებული ჩარევა

ტრავმა-ინფორმირებული ჩარევა ითვალისწინებს ყველა სახის ტრავმული მოვლენისა და გამოცდილების, მათ შორის, სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ტრავმის გაგებას, აღიარებას და შესაბამის რეაგირებას. ეს მიდგომა ეფუძნება ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ტრავმა ადამიანის ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.[70]

---

[68] Anderson, K., & Miller, C. (2018). *Educational Strategies to Combat Hate Speech*. Education and Society, 25(2), 190-205.

[69] King, B. (2020). *Interdisciplinary Approaches to Tackling Hate Speech*. Journal of Multidisciplinary Studies, 14(2), 98-113.

[70] Беберашвили, З., Джавахишвили, Дж., Табагуа, С., Махашвили, Н., & Цискаришвили, Л. (2021). Травма, ее природа и способы лечения, Тбилиси.

ტრავმა არის ემოციური და ფსიქოლოგიური რეაქცია ისეთ უკიდ-ურესად სტრესულ მოვლენაზე, როგორიცაა უბედური შემთხვევა, დანაშაული, ბუნებრივი კატასტროფა, ფიზიკური ან ემოციური ძა-ლადობა, უგულებელყოფა, ძალადობის პირდაპირი ან ირიბი გა-მოცდილება, ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, შეიარაღებული კონფლიქტი და სხვა მნიშვნელოვანი ინციდენტი. ამერიკის ფსიქი-ატრთა ასოციაციის (APA) განმარტებით, ასეთი მოვლენების შედეგად ხშირად შეინიშნება ისეთი რეაქციები როგორიც არის - შოკი/გაშეშება და უარყოფა. გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანებს შეიძლება განუვითარდეთ არაპროგნოზირებადი ემოციური მდგომარეობები, ობსესიური მოგონებები ან ფლეშბექები, გართულებული ინტერპერ-სონალური ურთიერთობები და სომატური სიმპტომები - თავის ტკივილი ან გულისრევა.[71]

ტრავმა-ინფორმირებული ჩარევის გაგება და გამოყენება ხელს უწ-ყობს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას, რაც არის მნიშვნელოვანი პირობა სიძულვილის ენის მსხვერპლთა აღდგენ-ისთვის და მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

ტრავმა-ინფორმირებული ჩარევის ძირითადი პრინციპები:

სიძულვილის ენაზე რეაგირების პროცესში, მათ შორის, მულ-ტიდისციპლინური მუშაობისას, მნიშვნელოვანია რომ ყველა ჩარ-თულ სპეციალისტს ესმოდეს ტრავმული გამოცდილების გავლენა ადამიანის ქცევაზე, კოგნიტიურ ფუნქციებსა და ემოციურ მდგო-მარეობაზე.

ტრავმა-ინფორმირებული ჩარევის ძირითადი პრინციპებია ტრავ-მული გამოცდილების გაცნობიერება/აღიარება და მისით გამოწ-ვეული ემოციური და ქცევითი რეაქციების ვალიდაცია და მიღება, ნდობასა და ემპათიაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს ადამიანის ქცევის გაგებას ტრავმული გამოცდილების

[71] American Psychiatric Association (2013). Diagnostic and statistical manual of mental disorders. (5th ed.) Arlington, VA: American Psychiatric Association.

კონტექსტში, როგორც ბუნებრივი რეაქცია არანორმალურ მოვ-ლენაზე, ძლიერ მხარეებსა და აღდგენაზე ორიენტირებული ჩარევა და ხელახალი ტრავმატიზაციის თავიდან აცილება სიძულვილის ენაზე საუბრისას ან მასზე რეაგირებისას. [72]

- უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა ამცირებს სტრესის დონეს და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას.[73] რაც მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას და *ეხმარება ადამიანებს კონტროლისა და დაცულობის განცდის აღდგენაში.*[74]



[72] American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders* (5th ed.). Arlington, VA: American Psychiatric Association.
[73] Levenson, J. S. (2017). *Trauma-Informed Care: A Summary of the Evidence and Its Implications for Social Work Practice*. Social Work, 62(3), 213-223.
[74] George, M. A., & Gergen, K. J. (2016). *Participatory Approaches to Trauma-Informed Care*. Clinical Social Work Journal, 44(3), 219-227.

პრაქტიკული რეკომენდაციები

- ინდივიდუალური შეფასება დაზარალებულის უნიკალური საჭიროებებისა და რესურსების გამოსავლენად;

- ტრავმული გამოცდილების გათვალისწინება მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებისას;

- აქტიური მოსმენისა და ემპათიური დამოკიდებულების გამოვლენა ნდობის ჩამოსაყალიბებლად;

- არადისკრიმინაციული და მხარდამჭერი ენის გამოყენება კომუნიკაციაში, უსაფრთხო სივრცის შესაქმნელად;

- მსხვერპლის გადამისამართება სპეციალიზებულ სერვისებში და შესაბამისი რესურსების მიწოდება;

- კომპლექსური სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;[75]

- თანამშრომელთა რეგულარული გადამზადება ტრავმა-ინფორმირებულ მიდგომებში

- სპეციალისტებისთვის მხარდაჭერისა და სუპერვიზიის უზრუნველყოფა ემოციური გადაწვის თავიდან ასაცილებლად;

- ტრავმა-ინფორმირებული მიდგომის განხორციელება სიძულვილის ენისგან დაზარალებულთა მხარდაჭერის ყველა დონეზე - მხარდამჭერი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება;

- უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს დაზარალებულთა აღდგენასა და მედეგობის მხარდაჭერას სიძულვილის ენის ზეგავლენის წინააღმდეგ.[76]

---

[75] https://link.springer.com/article/10.1007/s10615-014-0481-6

[76] Substance Abuse and Mental Health Services Administration (SAMHSA). (2014). *Trauma-Informed Care in Behavioral Health Services*. Treatment Improvement Protocol (TIP).